ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 23 დეკემბერი, 2015 №301 (6921) ფასი: 50 თეთრი

მიხეილ მაჭავარიანი: „ქართული ოცნება“ შეიძლება ყოველ წამს აფეთქდეს“

გვ.3

„ივანიშვილი რომ არ ჰყავდეთ, მეოცნებეები ერთმანეთს დიდი ხნის წინ დაჭამდნენ“

მაგდა პაპიძე: „პოლიციაში გამხადეს და ჩემზე ძალადობა ცადეს“

„როდესაც ომარი წაქცეული დავინახე, ვიფიქრე, რომ ნასვამი იყო და ურიოს გადაგდება გადავწყვიტე“

გვ.2

ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

არსენ კალატოზიშვილი

ხათუნა ჩხაიძე

ელენე ჩხეიძე

ლია შამუგია

ელისაშვილი: „კოკაინის საქმის პატიმრების გამოშვებით ეკა ბესელია და მანანა კობახიძე იყვნენ დაინტერესებულნი“

გვ.10

ბესელიამ ელისაშვილს ფლიდი და კორუმპირებული უწოდა

გვ.2

მანანა კობახიძე: „შესაძლოა, ელისაშვილს მესიჯები მივწერე“

გვ.4

გია ხუხაშვილი: „პაატა ბურჭულაძეს პარლამენტი გარანტირებული აქვს“

გვ.6

ISSN 1987-9385

თბილისის მერიამ 20-ლარიანი ვაუჩერი შეამცირა?

ანქვაბი: „აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას არცერთი პატრიარქი არ აღიარებს“

გვ.5

გვ.5

„კაბელების საქმე პროკურატურას თავზე ჩამოეგზრა“

მაგდა პაპიძე: „პოლიციაში გამხადეს და ჩემზე ძალადობა ცადეს“

„როდესაც ომარი წაქცეული დავინახე, ვიფიქრე, რომ ნასვამი იყო და უროს გადაგდება გადავწყვიტე“

გუშინ, 22 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ შვილისა და მეუღლის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელა.

არსენ კალატოზიშვილი

მაგდა პაპიძის ადვოკატმა ხათუნა ჩხაიძემ მოითხოვა, სასამართლოს ბრალდებულის წინააღმდეგ აღკვეთის ღონისძიების არცერთი ფორმა არ გამოეყენებინა.

ადვოკატმა ჟურნალისტებს პროცესის დაწყებამდე განუცხადა, რომ თავად პაპიძეც დაინტერესებულია, რომ საქმე გაიხსნას და არსად მიმალვას არ აპირებს. მისივე თქმით, მაგდა პაპიძე ინციდენტის ღამეს სახლში იმყოფებოდა.

– მაგდა პაპიძე დაინტერესებულია, რომ ეს საქმე გაიხსნას. ის არ აპირებს მიმალვას, პირიქით, თბილისში აპირებს, გააგრძელოს ცხოვრება. ამასთან, საქმეში არ არსებობს მისი აღიარებითი ჩვენება. არსებობს მტკიცებულებები, რომ ის უდანაშაულოა, – განაცხადა ადვოკატმა.

ხათუნა ჩხაიძის თქმით, მაგდა პაპიძე ამტკიცებს, რომ ის იმყოფებოდა სახლში, მეუღლე და შვილი გასული იყვნენ გარეთ.

– როდესაც ის მოსაძებნად გავიდა, შემთხვევით დაინახა სადარბაზოში დავარდნილი მეუღლე და შვილი. მაგდა პაპიძის თქმით, არავის ხმა არ გაუგია. ამის შემდეგ, როცა მაგდა ცდილობდა მათ საავადმყოფოში გადაყვანას, ამ დროს დაუძახა საშველად დედამთილს, – განაცხადა მაგდა პაპიძის ადვოკატმა.

პროცესის დაწყებამდე ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა საქმის პროკურორმაც.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე ბრალდებულ მაგდა პაპიძის აღიარებითი ჩვენება არ არსებობს, გამოძიების ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება პაპიძის დანაშაულზე მიუთითებს.

* * *

სასამართლო პროცესზე მაგდა პაპიძემ სკანდალური განცხადება გააკეთა.

მან თქვა, რომ მასზე პოლიციაში ძალადობის ფაქტი განხორციელდა.

– პოლიციაში მთელი ღამე და დღისით მცემეს. გამხადეს ტანსაცმელი და ძალადობას შეეცადნენ. ვინმე ნოკა რომ არ ყოფილიყო, პოლიციის თანამშრომლები სასტიკად მაწამებდნენ. მცემეს სახეში და თავში, ასევე თირკმლებში და ფეხებზე. მე ამ პირებს ამოვიცნობ, თუმცა სახელი და გვარები არ ვიცი, – განაცხადა მაგდა პაპიძემ.

მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა პროკურატურის წარმომადგენლებს განცხადებაზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდა.

პროკურორის თქმით, ისინი მაგდა პაპიძის განცხადებებს შეისწავლიან.

* * *

ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

მაგდა პაპიძემ სასამართლოზე დაწვრილებითი ჩვენება მისცა.

ხათუნა ჩხაიძე

მან მეუღლესთან ცუდი ურთიერთობა დაადასტურა და თქვა, რომ მისი 27 წლის ქმარი პათოლოგი იყო და მას სულ ეჩხუბებოდა. მაგდა პაპიძის მტკიცებით, მას მეუღლის მიმართ ზიზღი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც სხვა მამაკაცი შეუყვარდა.

– 19-ში ჩემმა შვილმა, თორნიკემ, სთხოვა მეუღლეს, ომარს, გასულიყვნენ გარეთ ხაჭაპურის საჭმელად. ისინი გარეთ გავიდნენ ძალიან თხლად ჩაცმულები. როდესაც დაბრუნდნენ, მე დედამთილს, ლილის ვთხოვე, დაერეკა ომართან, მე არ დავურეკე ომარს, რადგან მასთან დაძაბული ურთიერთობა მქონდა, თუმცა ომარს ტელეფონი გათიშული ჰქონდა, – განაცხადა მაგდა პაპიძემ სასამართლოზე.

მან თქვა, რომ ეს არ გაჰკვირვებიათ, რადგან ომარის ტელეფონი ხშირად ჯდებოდა ხოლმე.

– ამასთან, მე ვიცოდი, რომ ისინი მანქანით ვერ წავიდოდნენ, რადგან რამდენიმე დღის წინ ომარმა განმიცხადა, რომ ის მანქანით უბნიდან ვერ გავიდოდა, ზედმეტი კითხვების დასმა კი კვლავ ამიკრძალა. მე დაღლილი ვიყავი და იმ ღამით ჩამეძინა ლოდინში, – განაცხადა ბრალდებულმა.

ის ამბობს, რომ 3 იყო დაწყებული, როდესაც გაიღვიძა და გადაწყვიტა, საძებნელად წასულიყო.

– გარეთ გავედი, სადარბაზოდან გასასვლელში ვიწრო ადგილია, სადაც ფეხი წამოვკარი რაღაცას და დავეცი. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მე ომარზე დავეცი. მეგონა, რომ ის მთვრალი იყო და წაიქცა. ხშირად იყო ხოლმე, რომ ნასვამი ბრუნდებოდა სახლში. მე სისხლი არ დამინახავს. არ მიფიქრია, რომ მეუღლე და ჩემი შვილი ცოცხლები არ იყვნენ.

ამის შემდეგ წავედი მანქანის გადასაყენებლად, რადგან მინდოდა, ჩემი შვილი და მეუღლე მანქანაში ჩამესვა. მანქანაში ვერ ჩავსვი და ამის შემდეგ დავიწყე ყვირილი, რის შემდეგაც ჩემი დედამთილი ლილი და მეზობლები გამოვიდნენ. ამის შემდეგ მე ჩემი შვილი და მეუღლე არ მინახავს და პოლიციაში მითხრეს, რომ ორივე მე მოვკალი და ბრალი მქონდა წარდგენილი. ამას მე არ ვაღიარებ, – განაცხადა მაგდა პაპიძემ.

მან თქვა, რომ მისი ქმრისა და შვილის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მისმა მეუღლემ გადაწყვიტა, ურო ეყიდა, რათა გარკვეული სამუშაოები ეწარმოებინა. მან სასამართლოზე თქვა, რომ მან მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მეუღლე და მისი შვილი უგონოდ იყვნენ, პირველად ურო იმიტომ გადააგდო ნაგვის ურნაში, რომ შეეშინდა, რადგან მისი მეუღლე ომარი ხშირად ემუქრებოდა მას.

– ერთ დღეს ომარმა მე წამიყვანა ისე, რომ არ მითხრა, სად მივყავდი. გააჩერა ტაქსი და ამიყვანა ჯვარზე. შემდეგ იქ ფეხის წვერებზე დამაყენა და ცინიკურად რაღაც კითხვებს მისვამდა. ამის შესახებ მე ჩემს მეგობარს, ოთარ ბერძენიშვილს მოვუყევი. როდესაც ომარი სვამდა, აგრესიული იყო და სწორედ ამიტომ შემეშინდა, როდესაც წაქცეული დავინახე, ვიფიქრე, ნასვამი იყო და მე გადავწყვიტე, აღნიშნული ურო გადამეგდო, – განაცხადა მაგდა პაპიძემ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მანანა კობახიძე: „შესაძლოა, ელისაშვილს მესიჯები მივწერე“

მარიამ მჭედლიშვილი

„ესაა ბინძური კამპანია ხელისუფლების წინააღმდეგ“

რამდენიმე დღის წინ შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ მასზე ზეწოლას ახდენდნენ და ამ მიზნით ისტერიულ მესიჯებს უგზავნიდნენ. მაშინ მან არ დაასახელა ხელისუფლების იმ წარმომადგენლის ვინაობა, რომელიც ამას აკეთებდა.

ვიცესპიკერი მანანა კობახიძე აცხადებს, რომ შესაძლოა, შეტყობინებები ელისაშვილს მან მისწერა.

– ახლა ვიხსენებ დეტალებს. მე რეკომენდაცია გავაგზავნე, ასევე შეწყალების კომისიას გაეგზავნა პატიმართა საჩივრები. პასუხი ვერ მივიღეთ. შესაძლოა, მესიჯები მივწერე. პატიმრებს უფლება აქვთ, პასუხი იცოდნენ, – განუცხადა ობიექტივს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ.

იგი არ უარყოფს, რომ როგორც ყოფილი ადვოკატი, მონაწილეობდა ე.წ. კოკაინის საქმეზე დაპატიმრებულთა უფლებების დაცვაში და ამ საქმეზე შესაბამის კომისიებსა თუ კომიტეტს აწვდიდა საჭირო ინფორმაციას.

– ამაში ვერანაირ ინტერესთა კონფლიქტს ვერ ვხედავ, – ამბობს მანანა კობახიძე.

იგი აღნიშნავს, რომ შეწყალების კომისიასთან დაკავშირებული ამბები აგორდა მას შემდეგ, რაც იგი გამოეხმაურა კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებას შეწყალებაზე.

მანანა კობახიძე:

– გამოვთქვი აზრი, რომ პატრიარქი არავის, მათ შორის, პრეზიდენტს არ ართმევდა უფლებებს. მან გამოხატა თავისი ჰუმანური სურვილი. ალეკო ელისაშვილმა ეს ჩათვალა წინაპირობად, ეთქვა, თითქოს ჩვენ გვჭირდება, რომ ამოვეფაროთ პატრიარქს და გავაკეთოთ ბინძური ფული. ეს ნამდვილად არ ეპატიება ადამიანს, რომელიც იყო შეწყალების კომისიის თავმჯდომარე. ამ კომისიის თავმჯდომარე პირველ რიგში უნდა ფიქრობდეს იმ პატიმრებზე, რომლებიც მას მიმართავენ.

ვიცესპიკერი დარწმუნებულია, რომ ამ ცილისმწამებლური მეთოდებით მიმდინარეობს ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ:

– ესაა სპეციალურად აგორებული ძალიან ბინძური კამპანია არა მანანა კობახიძისა და ეკა ბესელიას, არამედ ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ სცენარს თავისი რეჟისორებიც ჰყავს.

მანანა კობახიძე კიდევ ერთხელ აზუსტებს, რომ კოკაინის საქმეზე გასამართლებული ნუგზარ ბოჭორიშვილი არასდროს ყოფილა შეყვანილი პოლიტპატიმართა სიაში. ბოჭორიშვილს მიაჩნდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მას პოლიტიკურად დევნიდა. მართალია, იგი არ ყოფილა აქტიური პოლიტიკოსი, მაგრამ იყო რესპუბლიკური პარტიის წევრი. 2008 წელს მან არაერთხელ დაუთმო პარტიას თავისი კომერციული ფართი შეხვედრების მოსაწყობად. იგი უზრუნველყოფდა ლიდერების დაცვასაც. მაშინდელი კუდის თანამშრომლები მას სთხოვდნენ თანხას, რომ შეეწყვიტათ ნარკოტიკული საშუალებების ტრანზიტის მუხლით აღძრული საქმე. ბოჭორიშვილი და სხვა ბრალდებულები არ აღიარებდნენ თავს დამნაშავეებად და საპროცესო გარიგებებზე არ მიდიოდნენ.

ყოფილი ადვოკატი აცხადებს, რომ ამ საქმეზე მტკიცებულების სახით 2010 წელს ამოღებული მილიონ 700 ათასი ევრო მაშინდელმა ხელისუფლებამ ხაზინაში არ შეიტანა. მხოლოდ ორი წლის შემდეგ, როცა ადეიშვილსა და სხვებს გასაქცევად ჰქონდათ საქმე, ხაზინაში შევიდა მილიონი ევრო.

მანანა კობახიძის განმარტებით, იმის გამო, რომ მიაღწიეს ამ საქმის გადახედვას, მან შეწყალების თხოვნით მიმართა პირადად პრეზიდენტ მარგველაშვილს. მოგვიანებით, კი მისი რეკომენდაცია პატიმრების საჩივრებთან ერთად გადაეცა შეწყალების კომისიას.

– მათ აქვთ უფლება, იყვნენ შეწყალებული. წერილებს კი მე მინისტრებსაც ვწერ, მერებსაც და გამგებლებსაც, – ამბობს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მანანა კობახიძეს ადვოკატი დავით ლანჩავა დაიცავს

მანანა კობახიძესთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვას ადვოკატი დავით ლანჩავა უპასუხებს ნებისმიერ საკითხზე. ამის შესახებ ლანჩავამ საქალაქო სასამართლოში ელისო კილაძის წინააღმდეგ სარჩელის შეტანამდე ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, კობახიძეს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული საკითხები სამართლებრივ ჭრილში გადააქვს და შესაბამისად, ნებისმიერ საკითხზე შეკითხვებს თავად უპასუხებს.

დავით ლანჩავა:

– მანანა კობახიძემ ბევრი განცხადება გააკეთა პრესისთვის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

ვინაიდან ეს საქმე სამართლებრივ ჭრილში გადაგვაქვს, ნებისმიერ შეკითხვას ამიერიდან მე ვუპასუხებ.

რაც შეეხება ელისო კილაძის წინააღმდეგ სარჩელს ადვოკატმა სამოქალაქო სარჩელით მიმართა საქალაქო სასამართლოს, რომლითაც ჟურნალისტ ელისო კილაძეს ცილისწამებაში ადანაშაულებს და ითხოვს, რომ სასამართლომ კილაძეს დაავალოს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მიხეილ მაჭავარიანი: „ქართული ოცნება“ შეიძლება ყოველ წამს აფეთქდეს“

„ივანიშვილი რომ არ ჰყავდეთ, მეოცნებეები ერთმანეთს დიდი ხნის წინ დაჭამდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

ითანამშრომლებენ თუ არა ალასანიასა და ჩერნოვეცკის პარტიასთან, როგორ შეარჩევენ საარჩევნო სიის პირველ ნომერს, რა სახის უთანხმოება იყო პარტიაში და ვინ აკავებს მეოცნებეებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.

– მრავალი განმარტების მიუხედავად, მაინც მიდის იმის მტკიცება, რომ ნაცმოძრაობაში დაპირისპირებაა. „ქართული ოცნების“ წევრების ვარაუდით, მალე ერთმანეთს დაჭამთ და რა ხდება სინამდვილეში თქვენს პარტიაში?

– ერთმანეთის დაჭმას რაც შეეხება, ეს ამბავი „ქართულმა“ ოცნებამ“ თავისკენ უნდა მოიკითხოს. ისე დაერივნენ ერთმანეთს, რომ ქარელში რამდენიმე დღის წინ ერთმა მეოცნებემ მეორეს ყურიც კი მოაჭამა. ახალი წელი მოდის და მუჟუჟის თემა აქტუალურია, მთავარია, ერთმანეთი არ მიახალადეცონ მეოცნებეებმა.

– მათი წამუჟუჟება იქით იყოს და ის გვითხარით, თქვენთან რა ხდება?

– რაც შეეხება ჩვენს რიგებში არსებულ ვითარებას, „ახალ თაობასთან“ დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს და რაღაცების დამალვას არ ვაპირებ. ჩვენთან მართლაც იყო რაღაც გაუგებრობები. მიმაჩნია, რომ პრობლემებზე ადამიანმა ღიად უნდა ისაუბროს და მეც ღიად ვსაუბრობ.

– როდის და რასთან დაკავშირებით ჰქონდა ადგილი გაუგებრობას?

– პარტიის აღმასრულებელი მდივანი ზურაბ ჯაფარიძე რამდენიმე თვის წინ თანამოაზრეებთან ერთად „გირჩებში“ წავიდა. მაშინ დღის წესრიგში დადგა ახალი მდივნის არჩევის საკითხი. სწორედ ამ დროს დაიძაბა სიტუაცია. სერგო რატიანმა სულ რაღაც ერთი ხმით მოუგო გიორგი ვაშაძეს. მაშინ შევთანხმდით, რომ ეს გაუგებრობები გვერდზე უნდა გადაგვედო და მომავალ გამარჯვებებზე გვეფიქრა.

ყველა ჩვენგანი აცნობიერებს, რომ ახლა ერთიანობა აუცილებელია. ენდიაის კვლევებმა გამოაჩინა, რომ ჩვენს მომხრეებში რაღაც კითხვები გაჩნდა და მათზე აუცილებლად უნდა გავცეთ პასუხი.

– რა კითხვები გაუჩნდათ თქვენს მომხრეებს?

– სანამ მიშა სააკაშვილი საქართველოს მოქალაქე იყო, მას თავისუფლად შეეძლო, გამხდარიყო ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის პირველი ნომერი. ახლა ჩვენს მხარდამჭერებს აინტერესებთ, ვინ იქნება პარტიაში პირველი.

საარჩევნო სიის პირველი ნომრის გამოსავლენად ნაცმოძრაობა პრაიმერიზს ჩაატარებს

– იყო სააკაშვილის საარჩევნო სიის პირველ ნომრობაზე საუბარი?

– არა, ამაზე საუბარი არ ყოფილა და არც მიშას გამოუთქვამს ამის სურვილი. უბრალოდ. ეს იყო თეორიული ვარიანტი. ამასთან. ის მოქალაქეობის წართმევამდე იყო პარტიის თავმჯდომარე. მას „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან სამარცხვინოდ ჩამოართვა მოქალაქეობა. ბოლო ერთი წელია, რაც ყველა გადაწყვეტილებას კოლექტიურად ვიღებთ. ამ გადაწყვეტილებებში მიშაც მონაწილეობდა.

– გადამწყვეტი სიტყვა მას ეკუთვნოდა, ალბათ.

– არა. ის გადაწყვეტილების მიღებაში, როგორც რიგითი წევრი, ისე მონაწილეობდა და არასდროს უთქვამს, მე ასე მინდა და „ვსიო“. ახლა ცოტა სხვანაირად იქნება საქმე და ჩვენს მხარდამჭერებს აინტერესებს, ახლა ვინ წაიყვანს ნაცმოძრაობას არჩევნებზე.

უხეშად რომ გითხრათ, მხარდამჭერებს აინტერესებთ, ვინ იქნება ჩვენი პრემიერობის ან პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი. როდესაც ადამიანი გაძლევს ხმას, მან უნდა იცოდეს, კონკრეტულად ვის აძლევს ხმას და ვინ რისი გამკეთებელია.

– ამ მიმართულებით რაიმე თუ მონახაზი გაქვთ და მიიღებს თუ არა კანდიდატების შერჩევაში სააკაშვილი მონაწილეობას?

– მიშა სააკაშვილი ისევ ჩვენი ლიდერია და მასთან იქნება კონსულტაციები. პრემიერობისა და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატს კი პრაიმერიზის გზით გამოვავლენთ. ეს პრაქტიკა ჩვენ საპრეზიდენტო არჩევნების წინ დავამკვიდრეთ. ახლაც იმავეს გავიმეორებთ, იმან ნამდვილად ვერ დაველოდებით, როგორ შეჭამენ „ქართული ოცნების“ წევრები ერთმანეთს.

ისე, რომ იცოდეთ, ძალიან მძიმედ აქვთ ამათ საქმე. 3 დღის წინ ერთმა მეორეს ყური მოაჭამა, 21 დეკემბერს კი ეკა ბესელია და დათო უსუფაშვილი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე. თვალშისაცემი იყო ის ფაქტი, რომ კამათი უწყინარ თემაზე წარმოიშვა. უსუფაშვილმა განაცხადა, რომ უნდა შეწყდეს დეპუტატებზე ფიზიკური ანგარიშსწორება. მან მართლაც კარგი განცხადება გააკეთა, ეკა ბესელია რატომღაც ძალიან გამწარდა და სპიკერს დაუპირისპირდა.

– ნაციონალებს ვითომ გეწყინათ ეს ამბავი?

– რატომ უნდა გვწყენოდა, მაგრამ არც ჩვენი წახალისებულია ეს ამბავი, მაგათთან დიდი ამბები დატრიალდება. არის ასეთი ანდაზა, თვალი თვალის მტერია, შუაში ცხვირი რომ არ იყოსო. მაგათ ბიძინას იმედი რომ არ ჰქონდეთ, ერთმანეთს დაერეოდნენ.

– მოდით, ისევ ნაცმოძრაობას დავუბრუნდეთ, პრემიერობისა და სპიკერის კანდიდატს პრაიმერიზის გზით შევარჩევთო. გაამართლებს ეს მეთოდი?

– რატომ არ უნდა გაამართლოს. ეს დახურულობა არ ამართლებს, თორემ გახსნილობა ყოველთვის უკეთესია. კარგი იქნებოდა, საარჩევნო სიაც გახსნილი ყოფილიყო.

– გახსნილი საარჩევნო სია რას გულისხმობს?

– პარტია საარჩევნო სიას ან ალფაბეტის, ანდა შიდა რეიტინგების მიხედვით ადგენს. ამომრჩეველი როცა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გია ხუხაშვილი: „პაატა ბურჭულაძეს პარლამენტი გარანტირებული აქვს“

„დღეს ძალაუფლება ქუჩაში აგდია“

ნათია ხურცილავა

„ოპოზიცია კიდევ უფრო სავალალო დღეშია, ვიდრე „ქართული ოცნება“

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ენდიაის კვლევების მიხედვით, მთავარი ტენდენცია ამომრჩევლის ნიჰილისტური განწყობებია.

გია ხუხაშვილი:

– ამომრჩევლის 60% თვითიდენტიფიცირებას არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არ ახდენს. ეს მაღალი რისკის შემცველ ვითარებას ქმნის.

– კონკრეტულად?

– ასეთ ვითარებაში, როდესაც ხალხი, ამომრჩევლის უმრავლესობა უარს აცხადებს არსებულ პოლიტიკურ ელიტასთან თანამშრომლობაზე, მაშინ მაღალი პოლიტიკური რისკების წინაშე დგება ქვეყანა. ვინც არ უნდა მოვიდეს ამ ვითარებაში ხელისუფლების სათავეში, მისი ლეგიტიმაცია საზოგადოების მხრიდან ყველა შემთხვევაში ეჭვქვეშ დადგება. ეს არასტაბილური ვითარება კი გარკვეულწილად მოვლენების რევოლუციურად განვითარების საფრთხეს ქმნის, რაც არაერთხელ გვინახავს ამ ქვეყანაში.

– რომელიმე მოქმედი პოლიტიკური ძალა თუ იწვევს ამომრჩევლის სიმპათიებს?

– მთავარი, ფუნდამენტური პრობლემა მგონია ის, რომ მთლიანად პოლიტიკური ელიტა გაკოტრებულია. მათი ჯამური ლეგიტიმაცია სუსტია და ამ ფონზე გამიჭირდება სიმპათიებზე საუბარი. დღეს ძალაუფლება ქუჩაში აგდია. თუნდაც იმედგაცრუებული იყოს საზოგადოება ხელისუფლების მიმართ, პოლიტიკურ სტაბილურობას მაინც განაპირობებს ის, რომ ადამიანები სხვა არჩევანს ეძებენ და იქ პოულობენ შვებას, მომავლის იმედს, მაგრამ დღეს ასეთი არჩევანი არ ჩანს და სწორედ ეს იწვევს იმედგაცრუებას.

– ეს კვლევები იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ბევრ საარჩევნო ოლქში მეორე ტური დაინიშნება?

– 50%-იან ბარიერს თუ გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას გაუჭირდება იმ გეგმის აღსრულება, რასაც ის ფიქრობდა და რატომაც დატოვა მაჟორიტარული არჩევნები და არ გადავიდა საერთო პროპორციულ არჩევნებზე. მაჟორიტარული ოლქების ხარჯზე აქვს ხელისუფლებას გადაწყვეტილი კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება პარლამენტში.

– რამდენად შეძლებს?

– ბარიერის პირობებში სერიოზული პრობლემები გაუჩნდება, რადგან საარჩევნო ოლქის მოსაგებად საჭიროა 50 პლუს ერთი ხმა. მიუხედავად ამისა, მაინც გამიჭირდება იმის თქმა, რამდენ ოლქში შეიძლება მეორე ტური გახდეს საჭირო, რადგან ოპოზიცია კიდევ უფრო სავალალო დღეშია, ვიდრე ხელისუფლება, „ქართული ოცნება“. ამ პირობებში რთული სათქმელია, რომ ხელისუფლებას რეალურად შეექმნას პრობლემა. უბრალოდ, არ ჩანს ოპოზიციური ძალა, რომელიც ხელისუფლებას რეალურ პრობლემას შეუქმნის. დღეს ხელისუფლების მთავარი ოპონენტი ოპოზიცია კი არ არის, მთლიანად საზოგადოებაა, ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ მას ცუდი ხელისუფლება ჰყავს და უარესი ოპოზიცია.

– რა შეგიძლიათ გვითხრათ ახალი პოლიტიკური ძალების, მაგალითად, ჩერნოვეცკის, პაატა ბურჭულაძის შესახებ, რამდენად სერიოზული შეიძლება იყოს მათი განაცხადი?

– ჩერნოვეცკის სერიოზულად არ ვუყურებ. თუმცა, ამ უცნაური სიტუაციიდან გამომდინარე არ გამოვრიცხავ, რომ ის პარლამენტში აღმოჩნდეს, მაგრამ მას დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ექნება. რაც შეეხება პაატა ბურჭულაძეს, თუ ის გადაწყვეტს დიდ პოლიტიკაში შემოსვლას, მაშინ მას პარლამენტში შესვლა გარანტირებული ექნება.

– რატომ?

– პარლამენტში მოხვედრა ბურჭულაძეს უკვე დღეს აქვს გარანტირებული. რამდენად შეუძლია მარტო ამ შედეგის მიღწევა, ეს უკვე გამოჩნდება მას შემდეგ, რაც ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკურ განსაწმენდელს გაივლის.

– რას გულისხმობთ?

– რამდენად გაუძლებს იმ დაწოლას, იმ დარტყმებს, რომლებიც მასზე აუცილებლად განხორციელდება. რამდენად შეძლებს გამოავლინოს პოლიტიკოსისთვის საჭირო თვისებები, რამდენად აღმოაჩნდება რკინის ნერვები. ეს ჯერ ჩვენთვის უცნობია, თუმცა, თეორიულად ყველაზე დიდი შანსი სწორედ პაატა ბურჭულაძეს აქვს, რომ ეს 60% შეისრუტოს.

– გამორიცხავთ, მოვლენები ისე განვითარდეს არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, რომ კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება გახდეს საჭირო?

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები არის პირველი არჩევნები, რომელიც რეჟიმის პირობებში არ ჩატარდება. რაც შეეხება კოალიციური მთავრობის დაკომპლექტებას, დღევანდელი გადმოსახედიდან ამის მიღწევა რთულია, მაგრამ სასურველია, რომ მოვლენები ასე განვითარდეს. ეს იქნებოდა დემოკრატიული განვითარებისთვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი. სასურველია, რომ ჩვენ მივიღოთ არა საარჩევნო კოალიცია, რაც უკვე გვაქვს, არამედ არჩევნების შემდეგ დაკომპლექტებული კოალიციური მთავრობა. ეს იქნებოდა ქვეყნისთვის ერთ-ერთი საუკეთესო სცენარი.

მიხეილ მაჭავარიანი: „ქართული ოცნება“ შეიძლება ყოველ წამს აფეთქდეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მივა არჩევნებზე და უნდა რომელიმე პარტიისთვის ხმის მიცემა, ნახავს ამ პარტიას და მარტო პარტიას კი არ მისცემს ხმას, არამედ ამ პარტიაში რომელიმე პიროვნებას, რომლის საარჩევნო ნომერი სიაში იქნება მითითებული. ეს შედეგები დაჯამდება და პარლამენტში ის კი არ მოხვდება, ვინც სიაში პირველ ადგილზე იყო, არამედ ის, ვინც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

ასეთი მოდელი ლიტვაში მოქმედებს და კარგად ბუშაობს. ცნობილი ამბავია, რომ ადამიანი სიაში 85-ე იყო ჩაწერილი და ათეულში გავიდა. ეს ძალიან კარგი სისტემაა. ამით ამომრჩეველი თავად წყვეტს, ვინ გავა მისთვის სასურველი პარტიიდან პარლამენტში.

– ეს მართლაც საინტერესო სისტემაა, მაგრამ საქართველოში ამოქმედდება?

– „ქართული ოცნება“ ამ სისტემას არ დაუშვებს. ნაციონალური მოძრაობა საარჩევნო დაპირებებში იტყვის, რომ ამ სისტემას დანერგავს. ეს იმიტომ უნდა გავაკეთოთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უკანდასახევი გზა აღარ გვქონდეს.

– ხელისუფლებაში რომ მოდიან, მერე ავიწყდებათ ხოლმე დაპირებები. „ქართულმა ოცნებამაც“ თქვა, მაჟორიტარულ სისტემას გავაუქმებთო, მაგრამ გადაიფიქრა.

– გადაიფიქრეს და ამაზე აუცილებლად მოუწევთ პასუხისმგებლობა. ჩვენ ისეთი რამე უნდა ვთქვათ, რომ მერე დანაპირები უკან აღარ წავიღოთ. ქართულ პოლიტიკას დღეს ძალიან სჭირდება გახსნილობა. პოლიტიკაში სულ ერთი და იგივე სახეები ვტრიალებთ.

– მართლაც რომ ერთი და იგივე სახეები ტრიალებთ.

– მერე? დროა, ქართულ პოლიტიკაში ახალმა სიომ დაბეროს. ამას პარტიის ოფისში ვერ გადაწყვეტ. ეს ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს, ამომრჩეველმა უნდა დააკომპლექტოს ამა თუ იმ პარტიის საარჩევნო სია. ჩვენ ამ წესის დამკვიდრების ვალდებულებას ავიღებთ და მას რეალობადაც ვაქცევთ.

„ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებული ცვლილებებით საარჩევნო კოდექსი არის აჯღაბუჯღა. 20 წელია, პოლიტიკაში ვარ და ვერაფრით ამიხსნია, როგორ შეიძლება, ერთი კაცი იყოს მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ონისა

„იმედია, „ქართული ოცნების წევრები“ ერთმანეთს არ მიახალადეცებენ“

და ამბროლაურის მაჟორიტარი. ამ რაიონების ტერიტორია აჭარის რეგიონს, სულ მცირე, ორჯერ აღემატება. ვერაფრით ამიხსნია, რანაირად უნდა მიიღოს ამომრჩეველი, ან რა პრინციპით უნდა მოხდეს მისი არჩევა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თავის მიერ მიღებული აჯღაბუჯღა ცვლილებების შეცვლას აპირებენ. ცვლილებების განხილვას თებერვლიდან იწყებენ და 2020 წლის არჩევნების ჩატარებას პროპორციული სიებით აპირებენ. შედალოცვილო, თუ მიგაჩნია, რომ მაჟორიტარული სისტემა გასაუქმებელია, ახლავე გააუქმე.

– ამის მოსწრება მოკლე ვადებში შესაძლებელია?

– ჩვენ სულ ფეხების ბაკუნით გვთხოვდნენ სასწრაფო გადაწყვეტილებების მიღებას. არჩევნებამდე 2-3 თვით ადრე ითხოვდნენ, ბიომეტრიული სიებით ჩაატარეთო. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში არიან, 2 არჩევნები ჩაატარეს, მაგრამ ბიომეტრიულ სიებზე არავის უფიქრია.

– მოდით, პრაიმერიზის თემას დავუბრუნდეთ. ამას პარტიაში ახალი უთანხმოება არ მოჰყვება? თავად თქვით, აღმასრულებელი მდივნის არჩევას გაუგებრობები მოჰყვაო.

– უთანხმოება აუცილებლად იქნება, მაგრამ ეს არ არის ცუდი ამბავი. ჯობია, ორთქლი თავიდანვე იქნეს გამოშვებული, ვიდრე დარჩეს და მერე მოულოდნელად აფეთქდეს. ამ მოულოდნელმა აფეთქებამ მარტო პარტია კი არა, შესაძლოა, სახელმწიფო დააზიანოს.

„ქართულ ოცნებაში“ ახლა ბევრი ორთქლია დაგროვილი და ის ყოველ წამს შეიძლება აფეთქდეს. დაგროვილი ორთქლის შედეგი იყო, რაც ირაკლი ალასანიას დამართეს. იმის გამო, რომ ეს კაცი არ მოსწონდათ, კინაღამ მთელი თავდაცვის სისტემა ამოატრიალეს. რის გამო დაიჭირეს ხალხი კაბელების საქმეზე, დღემდე ვერ ხვდებიან.

ნაციონალებისგან კარგად შექმნეს მტრის ხატი, მაგრამ ძალიან გაუჭირდათ, როცა საქმე იმ ოფიცრებს შეეხო, რომლებიც მთელი ცხოვრება საქართველოს სამსახურში არიან.

– რადგან ალასანია ახსენეთ, ბარემ გკითხავთ, მასთან თანამშრომლობას ხომ არ აპირებს ნაცმოძრაობა. ექსპერტების ნაწილი წინასწარმეტყველებს, რომ თქვენი გზები აუცილებლად გადაიკვეთება.

– ჩვენ გლობალურ თანამშრომლობაზე ჩამოყალიბებული არ ვართ, მაგრამ არის სტრატეგიული საკითხები, სადაც გადაკვეთა ხდება. არის საკითხები, რომლებზეც განსხვავებული ხედვა გვაქვს, მაგრამ არის ერთი მომენტი – ჩვენც და ალასანიას პარტიაც პროდასავლურ ძალას წარმოვადგენთ.

– პროდასავლურები რომ ხართ, არ გაერთიანდებით?

– ამაზე საუბარი არ არის. ახლა ჩვენს და თავისუფალ დემოკრატებსაც სხვა საკითხები გვაქვს მოსაგვარებელი. ნაციონალურ მოძრაობასაც და თავისუფალ დემოკრატებსაც ხალხის ნდობა გვჭირდება.

– ზემოთ ქართულ პოლიტიკაში ახალი სიოს დაბერვის აუცილებლობაზე ისაუბრეთ და კიევის ყოფილი მერის მიერ დაფუძნებულ ახალ პარტიაზე რას იტყვით?

– ლეონიდ ჩერნოვეცკის ჯერ დიდი სერიოზულობით ვერ ვუყურებ, რადგან მის გუნდს ვერ ვხედავ. თავად ეს ადამიანი ძალიან საინტერესო პიროვნებაა. თავის დროზე მან კიევში მერის არჩევნები ისეთ რთულ ბრძოლაში მოიგო, რომ ის პოლიტიკაში კარგად არის ჩახედული. საქართველოსთან მის შეხებასთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით კითხვის ნიშნები მაქვს.

– ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ პოლიტიკურ ბაზარზე შესაძლოა პაატა ბურჭულაძე შემოვიდეს. მასზე რას იტყვით?

– მოდით, ჯერ მისი ფონდის პრეზენტაციას დაველოდოთ და ვნახოთ, გარდაიქმნება თუ არა პოლიტიკურ პარტიად. პოლიტიკაში ბურჭულაძის გამოჩენა საინტერესო ფაქტია.

– ამ ორი ძალიდან რომელიმე თუ გახდება ე.წ. მესამე ძალა?

– მესამე ძალა არცერთი მათგანი არ გახდება.

– არჩევნებამდე არის მესამე ძალის გამოჩენის შანსი?

– ჯერჯერობით ასე ჩანს, რომ მთავარი მოთამაშეები მაინც ჩვენ და „ქართული ოცნება“ ვიქნებით ელ კლასიკოსავით.

– გარკვეული გაქვთ, ბარსელონა რომელი იქნებით და რეალი რომელი?

– ამ ამბავში მე მივიღებ გადაწყვეტილებას და ნაცმოძრაობა იქნება ბარსა. ამ გუნდს ძალიან დიდი ხანია ვგულშემატკივრობ.

– დარწმუნებული ხართ, რომ სწორ არჩევანს აკეთებთ? მესი აღარ გყავთ და მის გარეშე ბარსა მთლად ბარსა არ არის.

– მესი როგორ არა გვყავს, კაცო? ჩვენი მესი უკრაინაშია და მან იქ ისეთი გოლი შეიძლება გაიტანოს, რომ აქაც ჩავიწეროთ ქულები. ბარსელონას ერთი ცუდი ზნე სჭირს – საპასუხისმგებლო ბრძოლაში კარგად თამაშობს, მაგრამ შედარებით სუსტ გუნდებთან ვაგებთ ხოლმე. ასეთი წაგება ჩვენც განვიცადეთ „ქართულ ოცნებასთან“. ეს წაგება ჩვენი შეცდომების ბრალია და ამ შეცდომებზე ბევრი რამე ვისწავლეთ, „ქართული ოცნებამ“ კი ვერც ჩვენს შეცდომებზე ისწავლა რამე და ვერც თავისებზე სწავლობს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ანქვაბი: „აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას არცერთი პატრიარქი არ აღიარებს“

აფხაზურ ეკლესიაში დაპირისპირება გრძელდება

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზურ ეკლესიაში დაპირისპირების აღმოფხვრა ისევ ვერ ხერხდება. რამდენიმე დღის წინ „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ აფხაზური ეკლესიის წინამძღოლმა ბესარიონ აპლიამ ამ დაპირისპირებაში ალექსანდრე ანქვაბის ხელისუფლება დაადანაშაულა.

საქმე ის გახლავთ, რომ დაპირისპირების შემდეგ აფხაზური ეკლესია ორად გაიყო. აპლიას შედარებით ახალგაზრდა სასულიერო პირები განუდგნენ. მათ აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია დააარსეს, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა.

ამ ამბის გამო ახლა ბესარიონ აპლია ანქვაბსა და აფხაზეთის ყოფილ ხელისუფლებას პრეტენზიებს უყენებს. თავისი უკმაყოფილება აფხაზური ეკლესიის წინამძღოლმა მედიასთან საუბარშიც დააფიქსირა.

ეს ინტერვიუ, ბუნებრივია, აფხაზთა ექსპრეზიდენტმაც წაიკითხა. აპლიას მიმართ პრეტენზიები არც მას დანანებია. პორტალ „აპსნი. რუსთან“ საუბარში ნაპრეზიდენტალი ამბობს, რომ აფხაზურ ეკლესიაში განხეთქილება დიდი ხნის წინ დაიწყო.

– საეკლესიო კონფლიქტი, როგორც ამას მამა ბესარიონი ამტკიცებს, 2011-2012 წლებში არ დაწყებულა. ეს ყველაფერი მინიმუმ 10 წლის წინ დაიწყო. პირადად მე 2004 წელს შევიტყვე იმის თაობაზე, რომ მამა ბესარიონი და ახალგაზრდა სასულიერო პირები ვერაფრით პოულობდნენ საერთო ენას, – აღნიშნავს ნაპრეზიდენტალი.

მისი თქმით, მთელი აფხაზეთისთვის ცნობილი იყო ის სკანდალები, რომლებიც მამა ბესარიონისა და ახალგაზრდა მამების დაპირისპირებას მოჰყვა. ნაპრეზიდენტალის განცხადებით, ამ დაპირისპირებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა.

– სასულიერო პირების დაპირისპირების პირველი მიზეზი თაობების კონფლიქტი გახლავთ. ამის გარდა, პიროვნული კონფლიქტთანაც გვაქვს საქმე. ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ახალგაზრდა, განათლებული და ამბიციური მამაოები, ხოლო მეორე მხარეს – გამოცდილი და აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე დამსახურების მქონე პირები, – მიიჩნევს ანქვაბი.

მისი განმარტებით, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ეს დაპირისპირება საეკლესიო ძალაუფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში გადაიზარდა.

გავრცელებული მოსაზრებით, ახალგაზრდა სასულიერო პირები რუსეთის ეკლესიის მიმართ უარყოფითად არიან განწყობილი. მამებს შორის ბოლო დაპირისპირება სწორედ რუსეთიდან მოვლენილ წინამძღვარს უკავშირდება. ახალგაზრდების ანტირუსულ განწყობას აპლიაც ხშირად უსვამს ხაზს.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ანქვაბი. მისი განცხადებით, ახალგაზრდა მამები დროოთეი დბარი და ანდრეი ამპარი არა ანტირუსული, არამედ ანტიბესარიონული განწყობით გამოირჩეოდნენ.

ანქვაბი აღიარებს, რომ ის რაღაც დოზით ჩართული იყო ამ დაპირისპირებაში. ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც დაპირისპირებამ საზოგადოებისთვის საშიში სახე მიიღო.

– ამ კონფლიქტის დარეგულირებაში მეც ჩავერთე. დაპირისპირებულ მხარეებთან რამდენჯერმე შეხვედრაც გავმართე. უხერხულად ვიგრძენი თავი, როდესაც გავიგე, რომ ურთიერთობას ვარეგულირებ არა სასულიერო მორწმუნეებს, არამედ პოლიტიზებულ მხარეთა შორის, რომლებსაც არაფრის დათმობა არ სურდათ, – აცხადებს აფხაზთა ექსპრეზიდენტი.

მისი თქმით, მხარეებს შორის მოლაპარაკება ხმაურიანად მიმდინარეობდა. მამებს ხშირად ავიწყდებოდათ აფხაზეთის ეკლესიის ბედი და პირადი საქმეების გარჩევაზე გადადიოდნენ.

– ისინი კარგად აცნობიერებდნენ, რომ კანონიკური ნორმების შესაბამისად აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება იოლი არ იქნებოდა და ამ მიზნის მისაღწევად დიდი დრო იყო საჭირო. ახალგაზრდა მამები ამბობდნენ, რომ დამოუკიდებლობის მისაღწევად კანონში ცვლილებები იყო საჭირო. ჩემი აზრით, ამით ისინი სპეკულირებდნენ, – ამბობს ანქვაბი.

ამ დაპირისპირებებში მონაწილეობამ ნაპრეზიდენტალი დაარწმუნა, რომ

საეკლესიო ცხოვრება პოლიტიკურზე ბევრად რთულადაა მოწყობილი.

მისი განცხადებით, აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს საპატრიარქოზეა დამოკიდებული.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ, სანამ მამა ბესარიონი და მამაოების ახალი თაობა ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ, დიდი კრება გამართეს და საქართველოს საპატრიარქოს უსტარი გამოუგზავნეს, სადაც ისინი თავიანთი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვდნენ. ასეთივე წერილი მამა ბესარიონმა მოსკოვშიც აფრინა.

პასუხი ორივე მხრიდან უარყოფითი იყო. რუსეთის საპატრიარქო არათუ აფხაზური ეკლესიის, არამედ, კრემლისგან განსხვავებით, არც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს და, სამაჩაბლოსთან ერთად, მას საქართველოს ნაწილად განიხილავს.

ახლა ძალიანაც ნუ აგიჩუყდებათ გული რუსეთის საპატრიარქოზე, რადგან არაოფიციალურად ის აფხაზეთის ეკლესიას აკონტროლებს და იქ რუს სასულიერო პირებს აგზავნის.

აფხაზმა სასულიერო პირებმა დამოუკიდებლობის მოპოვების ამბავში ბედი კონსტანტინოპოლშიც ცადეს, ოღონდ ეს განხეთქილების შემდეგ მოხდა. ახალგაზრდა მამაოები კონსტანტინოპოლში წავიდნენ და ბართლომეოსს სთხოვეს აღიარება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აფხაზური ეკლესიის ახალ თაობას რუსეთის პატრიარქზე მეტად ბართლომეოსი მოსწონს.

– ჩვენი ეკლესია, ფაქტობრივად, გამიჯნულია საქართველოს ეკლესიისგან, მაგრამ არცერთი პატრიარქი არ აღიარებს ჩვენს დამოუკიდებლობას, მათ შორის არც კონსტანტინოპოლის პატრიარქი. ეს გადაწყვეტილება ერთიანად უნდა იქნეს მიღებული. ამ გადაწყვეტილებაში საქართველოს პატრიარქმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. ასეთია საეკლესიო კანონები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ახლო მომავალში, არა მგონია, შეიცვალოს, – მიაჩნია ნაპრეზიდენტალს.

ანქვაბს დიდი იმედი არ აქვს, რომ აღიარებას ეღირსებიან და ამიტომაც ამბობს, რომ აფხაზური ეკლესია აუღიარებლადაც ყვავის.

– დრომ აჩვენა, რომ ავტოკეფალიის გარეშეც აფხაზეთში აღორძინდა და განვითარდა მართლმადიდებლობა. იმისთვის, რომ აფხაზეთის ეკლესიამ დამოუკიდებლად ჩაატაროს საეკლესიო მსახურება, მივმართე მოსკოვის პატრიარქს, აფხაზეთის ეპისკოპოსის უფლებების შესახებ. რუსული მართლმადიდებელი ეკლესია უკვე 20 წლის განმავლობაში დიდ დახმარებას უწევს აფხაზეთის სასულიერო პირებს, – აცხადებს ანქვაბი.

ის რუსეთის პატრიარქთან გამართულ შეხვედრასაც იხსენებს.

– მქონდა პატივი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს შევხვედროდი. ჩვენ გვქონდა დეტალური საუბარი, რომელიც ძირითადად ამ პრობლემას ეხებოდა. მე ჩემი პოზიცია დავაფიქსირე იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ჩვენს ეკლესიაში და დავარწმუნე პატრიარქი, რომ ყველანაირად ვცდილობ ამ პრობლემის გადაწყვეტას.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვერ მივცემდი მოსკოვის პატრიარქს იმის პირობას, რომ უმოკლეს ვადებში მოვაგვარებდი ამ საკითხს, – აღნიშნავს ნაპრეზიდენტალი.

მისი თქმით, ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელი იყო მაშინაც და შეუძლებელია ახლაც.

აფხაზურ მედიაში არაერთხელ გაჟღერდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ანქვაბი მხარს ახალგაზრდა სასულიერო პირებს უჭერდა. ამასთან დაკავშირებით მინიშნება ბესარიონ აპლიამაც გააკეთა.

– ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ვცდილობდი, მეპოვა კომპრომისი, რომელიც მხარეებს შეარიგებდა. სამწუხაროდ, არცერთი მხარე არ იყო ჩემთან ახლოს, მაგრამ ისინი არც შორს ყოფილან ჩემგან. არცერთი მათგანისთვის არ ჩამიბარებია აღსარება და არც ზიარება მიმიღია მათგან. ეს საკითხი ჩემთვის რჩებოდა საზოგადოებრივ საკითხად, – ამბობს ანქვაბი.

მისი თქმით, აფხაზურ ეკლესიაში არსებული დაპირისპირების მოგვარება რთული იქნება.

– გამოსავალი ყოველთვის არის, თუკი მას ეძებ. ამ სიტუაციაში მხოლოდ ამპარტავნობის დაძლევაა მთავარი. აუცილებელია იმის გაცნობიერება, თუ რა შედეგები მოჰყვება ამ კონფლიქტს. ქრისტიანული მონანიება და პატიება აუცილებელია საერთო მიზნის მისაღწევად. რაც უფრო დიდხანს გრძელდება განხეთქილება, მით უფრო დიდ ძალას იძენს სხვადასხვა სექტა, – მიაჩნია ყოფილ პრეზიდენტს.

* * *

მამა ბესარიონი და ანქვაბი ერთმანეთს აშკარად ვერ იტანენ, რადგან, როცა ანქვაბი გადატრიალების გზით ხელისუფლებას ჩამოაცილეს, ბესარიონი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შევიდა და იქიდან მავნე სულის განდევნის რიტუალი ჩაატარა.

– სულის განდევნის რიტუალი საქმეს ვერ შველის, ბოროტება შენივე თავიდან უნდა განდევნო, – მიიჩნევს დამხობილი პრეზიდენტი.

„კაბელების საქმე პროკურატურას თავზე ჩამოენგრა“

სასამართლომ გენშტაბის უფროსი დაკითხა

საქალაქო სასამართლომ კაბელების საქმესთან დაკავშირებით გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე დაკითხა.

– სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულების დეტალები ჩემთვის უცნობია, მაგრამ ზოგადად აღნიშნული ხელშეკრულება ზოგად პრინციპებს, რომლებიც კავშირგაბმულობის გამყარებისთვის არსებობს, აკმაყოფილებს, – განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ საქალაქო სასამართლოში.

როგორც კაპანაძემ დაკითხვის დასრულების შემდეგ აღნიშნა, მანამდე ჰქონდა ჩვენება მიცემული გამოძიებისთვის და სამომავლოდაც, თუკი საჭირო იქნება, გააგრძელებს თანამშრომლობას.

რაც შეეხება ავთანდილ ჭოლოკავას საკითხს, რომელიც სპეკკავშირმშენის წარმომადგენელია და თავის დროზე კაპანაძესთან ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურების მაგისტრალის შესახებ შეხვედრა გამართა, კაპანაძემ აღნიშნა, რომ ამ თემაზე სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

ვახტანგ კაპანაძის ჩვენება ადვოკატსაც მოეწონა და პროკურორსაც

დაკითხვისას კაპანაძემ აღნიშნა, რომ ის არც ჭოლოკავას მიერ შემოთავაზებული ვერსიის დეტალებს იცნობს, თუმცა იცოდა, რომ ჭოლოკავა სთავაზობდა ორ უფასო სადენს.

კაპანაძეს დაცვის მხარემ დაუსვა შეკითხვა, იცოდა თუ არა იმის შესახებ, რომ, ჭოლოკავას ვერსიით, მაგისტრალი ლარსთან ახლოს უნდა გასულიყო.

პროკურატურის შეკითხვაზე, იტყოდა თუ არა უარს ჭოლოკავას მომსახურებაზე, თუკი ეს ეცოდინებოდა, ვახტანგ კაპანაძემ აღნიშნა, რომ მაგისტრალი ოკუპირებული ტერიტორიის სიახლოვეს ისედაც გადის.

რატომ ეთქვა ჭოლოკავას მის მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე უარი?

ვახტანგ კაპანაძემ ამაზე აღნიშნა, რომ უარის თქმა მისი კომპეტენცია არ იყო, რადგან კავშირგაბმულობის თემაზე მუშაობდა სამუშაო ჯგუფი და სწორედ ამ ჯგუფის ფარგლებში განიხილებოდა ყველა საკითხი.

– შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი. მას ჰყავდა თავის ხელმძღვანელი. პოლკოვნიკი კაიშური მუშაობდა სამუშაო ჯგუფში. პროცესში მე არ ვიყავი ჩართული, – განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ.

მისი თქმით, რაც შეეხება ჭოლოკავას შეთავაზებას, უფასო შეთავაზება არ ნიშნავდა, რომ ის უფასო იყო.

– ამისთვის არსებობდა შესაბამისი ტექნიკური ჯგუფი, რომელიც დაადგენდა, რამდენად მომგებიანი იქნებოდა ეს შეთავაზება რესურსებსა და თანხებში. სწორედ ჯგუფს ეკისრებოდა ამის შეფასება და განსაზღვრა. შესაბამისად, მის კომპეტენციაში შედიოდა შეთავაზებაზე უარის თქმა, – განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ.

* * *

– ვახტანგ კაპანაძის ჩვენება ფასეულია და მიუთითებს იმაზე, რომ არცერთი ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში არ არის დამნაშავე, – განაცხადა ბრალდებულების ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.

ადვოკატის თქმით, მოწმემ სრულად დაადასტურა სასამართლო პროცესზე დაკითხვისას ის, რასაც ამტკიცებს დაცვის მხარე საქმის განხილვის განმავლობაში.

– მოწმემ დაადასტურა ის, რომ თავად სამინისტროსა და კომპანია სილქნეტს შორის დადებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს იმ მოთხოვნებს, რომლებიც გააჩნია თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბს, რომ ამისთვის შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, ამ პროექტის განსახორციელებლად, რაზეც დღეს მიმდინარეობს დავა და რომელსაც ხელმძღვანელობდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა ბროლაძე. იგი კოორდინირებას უწევდა პროექტის შესრულებას, რომ თავდაცვის სამინისტროს არ ჰქონდა მოთხოვნა იმისა, რომ შეეძინა ცხრილი ანუ ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალი, – განაცხადა სოსო ბარათაშვილმა.

* * *

ვახტანგ კაპანაძის ჩვენებით პროკურატურაც კმაყოფილი დარჩა.

– მოწმე ვახტანგ კაპანაძის ჩვენებით კიდევ ერთხელ დადასტურდა ყველა ის გარემოება, რასაც ამ დრომდე ამტკიცებს პროკურატურა, – განაცხადა პროკურორმა ნინო აღლემაშვილმა გენერალური შტაბის უფროსის დაკითხვის შემდეგ.

პროკურორმა იგულისხმა ის ფაქტი, რომ კომპანია სპეკკავშირმშენმა თავდაცვის სამინისტროს უფასოდ შესთავაზა ქონება, რომელშიც შემდეგ მილიონობით ლარი იქნა გადახდილი.

– რაც შეეხება იმ საკითხს, სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულება შეესაბამებოდა თუ არა თავდაცვის სამინისტროს მიზნებს, აღნიშნულზე მოწმე არ ფლობს დეტალურ ინფორმაციას, ვინაიდან აღნიშნული არ შედიოდა მის ფუნქციურ ვალდებულებებში, – განაცხადა პროკურორმა.

მისი თქმით, სახელმწიფო ბრალდებას აქვს დოკუმენტური მტკიცებულებები, რომ თავდაცვის სამინისტროს შენაძენი არათუ არ შეესაბამებოდა სამინისტროს მიზნებს, არამედ მასში გადახდილი თანხის ეკვივალენტურიც კი არ იყო.

* * *

– კაბელების საქმე პროკურატურას თავზე ჩამოენგრა. ამაზე ბრალდების მხარის მიერ დასმული შეკითხვებიც მეტყველებს, – ასე შეაფასა თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა ვიქტორ დოლიძემ ვახტანგ კაპანაძის დაკითხვა.

როგორც ვიქტორ დოლიძემ აღნიშნა, იგი პატივს სცემს გენერალური შტაბის უფროს ვახტანგ კაპანაძეს.

– მე რაც მოვისმინე, ვახტანგ კაპანაძემ ყველა კითხვას სამართლიანად გასცა პასუხი და ხაზი გაესვა ამ საკითხის პოლიტიზებას. იმედია, ეს ბაკქანალია მალე დასრულდება, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

მასთან ერთად პროცესს ესწრებოდა თავისუფალი დემოკრატების კიდევ ერთი ლიდერი მაია ფანჯიკიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ აქვს მოლოდინი იმისა, რომ ამ საქმეზე ბრალდებულები სამართალს მალე მიაღწევენ.

– ვახტანგ კაპანაძეს ვიცნობ, როგორც წესიერ და პატიოსან ადამიანს. ეჭვი არ მეპარება, რომ ის მხოლოდ სიმართლეს იტყვის სასამართლოზე, ხოლო სიმართლე მდგომარეობს იმაში, რომ აქ არანაირი დანაშაული არ არსებობს და ეს ხუთი ადამიანი, რომლებიც ამდენი ხანია სასამართლოში დადიან, სამართალს იპოვიან, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, ვახტანგ კაპანაძემ ჩვენების მიცემისას აღწერა ის გზა, თუ როგორ ხდება სამინისტროში სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. მაია ფანჯიკიძის თქმით, კაპანაძემ აღნიშნა, რომ თავდაცვისუნარიანობისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო კომუნიკაციის ქსელის არსებობა და ჩატარდა ის პროცედურები, რაც საჭიროა ამ მიზნის გადასაწყვეტად.

* * *

თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს 4 მილიონ ლარზე მეტი სახელმწიფო თანხის გაფლანგვისთვის აქვთ ბრალი წარდგენილი.

ინტერპრესნიუსი

თბილისის მერიამ 20-ლარიანი ვაუჩერი შეამცირა?

ლალი დავითური

წინა ხელისუფლებამ არჩევნების წელს თბილისელების საკეთილდღეოდ და გულის მოსაგებად 20-ლარიანი ვაუჩერი შემოიღო, რაც გაფორმდა შესაბამისი განკარგულებით.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 1 თებერვლის №290 განკარგულებით, მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურზე შეღავათის გაწევის მიზნით, შემოღებულ იქნა ელექტროენერგიის ვაუჩერი 20 ლარის ოდენობით.

მას მერე თბილისელები ამ შეღავათით ყოველ წელს სარგებლობდნენ. ყველაზე ცივი 5 თვის განმავლობაში ყველა აბონენტს ერიცხებოდა 100 ლარიანი ვაუჩერი, რომელიც ასე ნაწილდებოდა თვეში:

ელექტროენერგიისთვის – 8,45 ლარი, დასუფთავებისთვის – 8.40 ლარი, წყლის გადასახადისთვის 3,15 ლარი და ჯამში თვეში 20 ლარი გამოდიოდა.

წელს ზაფხულის განმავლობაში იყო საუბარი ვაუჩერის გაცემაარგაცემის შესახებ. მაგრამ იმის გამო, რომ ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდა და იმის გამო, რომ გაზრდილი კომუნალური ხარჯები მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევდა თუ სხვა რამის გამო, მერიამ ვერ გაბედა ვაუჩერის გაუქმება და განაცხადა, რომ სუბსიდია იგივე დარჩებოდა – თვეში 20 ლარი.

მერიამ განცხადებით კი განაცხადა, მაგრამ სინამდვილეში ყველას არ ერიცხება სუბსიდიის 20 ლარი. ამაზე „ახალ თაობას“ ესაუბრა მარტოხელა ნათელა ბ.

– ვარ მარტოხელა, როგორც ყველა, მეც წინა წლებში ჩვეულებრივ ვიღებდი 20 ლარიან ვაუჩერს. ელექტროენერგიაზე მერიცხებოდა 8.45 ლარი, დასუფთავებაზე 8,40 ლარი, წყალზე 3,15 ლარი.

რადგან მარტოხელა ვარ, დასუფთავების თანხა დებეტში გადადიოდა, მიგროვდებოდა და შემდეგ ზაფხულის თვეების განმავლობაში დასუფთავების საფასური ჩამომეწერებოდა ხოლმე. მაშინ იმას ვჩიოდი, რომ ზამთრის თვეებში მეტ ელექტროენერგიას ვხარჯავდი და დასუფთავებას მორჩენილი ფულით ელექტროენერგიის საფასური გამომიქვითონ, თუ მადლს შვრებიან-თქო და ახლა სულ ჩამომაჭრეს ეს თანხა.

– როგორ ჩამოგაჭრეს?

– უკვე მეორე თვეა, რაც ვაუჩერები გვერიცხება, პირველ თვეს ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ ახლა რომ მოვიდა ქვითარი, აღმოვაჩინე, რომ ელექტროენერგიაზე და წყალზე ჩვეულებრივ დარიცხული მაქვს 8,45 და 3,15 ლარი, როგორც შარშან, დასუფთავების გადასახადზე კი მხოლოდ 2,50 ლარი, ჯამში გამოდის 14,10 ლარი, დანარჩენი 5,90 ლარი სად მიდის?

რატომ იტყუება მერია? ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო, ნათქვამია, მაგრამ თქვან, რომ მარტოხელებს 14 ლარიან სუბსიდიას აძლევენ, რატომ ამბობენ 20 ლარს? იმის მაგივრად, რომ რაღაც შეღავათები დაუწესდეს მარტოხელა ადამიანებს, გამოდის, რომ გვჩაგრავენ და გვპარავენ კუთვნილ თანხას.

თბილისში ძალიან ბევრი მარტოხელა და ორსულიანი ოჯახია, 5.90 ან 3,4 ლარი, საბოლოო ჯამში, საკმაოდ დიდ თანხას მოგვცემს. საინტერესოა, სად მიდის ეს თანხა?!

საქართველოდან 20.000 ტონაზე მეტი მანდარინი გავიდა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები

სოფლის მეურნეობის სამინისტრო „ნარინჯისფერი რთველის“ სტატისტიკას აქვეყნებს.

უწყების ინფორმაციით, 22 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 20.000 ტონაზე მეტი სტანდარტული მანდარინი, გადამუშავებულია 5.000 ტონამდე ციტრუსი.

სამრეწველო მანდარინის გადამუშავების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 990.000 ლარს მიაღწია, აქედან სახელმწიფო სუბსიდიის თანხა 494.000 ლარამდეა.

სტანდარტული მანდარინის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება შემდეგ ქვეყნებში:

რუსეთი – 16.549 ტონა (80.10%), უკრაინა – 2.690 ტონა (13.02 %), სომხეთი – 574 ტონა (2.78 %), აზერბაიჯანი – 205 ტონა (0.99 %), ყაზახეთი – 407 ტონა (1.97 %), ბელარუსი – 161 ტონა (1.15 %), სხვა ქვეყნები – 74 ტონა (0.35 %).

ამ ეტაპზე მანდარინის მიღება-გადამუშავებას აწარმოებს ექვსი ქარხანა.

კომპანიები, რომლებიც 1კგ სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდიან, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან 1 კგ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობის სუბსიდიას მიიღებენ.

საექსპორტო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი ციტრუსის მიწოდების უზრუნველსაყოფად, წლევანდელ სეზონზე, აჭარისა და გურიის რეგიონებში მანდარინის ჩაბარება 40-მდე დამახარისხებელ (შემფუთავ) პავილიონშია შესაძლებელი.

„ნარინჯისფერი რთველის“ ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, 2015 წლის 1 ნოემბრიდან ბათუმში შექმნილია ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის საკოორდინაციო შტაბი. ფუნქციონირებს ცხელი ხაზიც – 2470101.

ბიბიენი

პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის მშენებლობა დაიწყო

მოსახლეობა, ფაქტობრივად, სამშენებლო მოედანზე ცხოვრობს

პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო, რის გამოც ქუჩის რესტავრაცია-რეაბილიტაციის დროს აღმოჩენილი ძველი თბილისის გალავანი სამშენებლო მოედნად იქცა.

ესტაკადის მშენებლობას მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული „კავკასუს როუდ პროჯექტი“ შეასრულებს, რისთვისაც კომპანია ქალაქის ბიუჯეტიდან დაახლოებით 4 მილიონ ლარს მიიღებს.

როგორც სატენდერო დოკუმენტაციიდან ირკვევა, ვიდრე კომპანია ესტაკადის მშენებლობას დაიწყებს, არსებული გზის ნაგებობები უნდა დაშალოს, მათ შორის სპეციალური სანგრევი ჩაქუჩებით, რის გამოც პუშკინის ქუჩის მოსახლეობა შიშობს, რომ ხმაურისა და სამშენებლო მტვრის გარდა, შესაძლოა მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების გამო, მათი საცხოვრებელი სახლებიც დაზიანდეს.

მოსახლეობის თქმით, სახლები, ფაქტობრივად, სამშენებლო მოედანზე მდებარეობს და მათი რესტავრაცია-რეაბილიტაცია ორიოდე წლის წინ დასრულდა. ადგილობრივები შიშობენ, რომ ესტაკადის მშენებლობა შესაძლოა მათი სახლების ნგრევის მიზეზი გახდეს და თბილისს კიდევ ერთი ავარიული უბანი შეემატოს.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით მოსახლეობა არავის ჩაუყენებია საქმის კურსში. ამასთან, პუშკინის ქუჩის სამშენებლო მოედნად ქცევა კიდევ ერთ პრობლემას ქმნის.

რამდენიმე მეტრში ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომლის დასრულების ვადად 220 დღე იყო განსაზღვრული (?!). ხიდზე ავტომობილების გადაადგილება ივნისის შემდეგ შეზღუდულია, რაც საცობების წარმოქმნის მიზეზი ხდება. ახლა კი იქვე მდებარე ქუჩა კიდევ ერთი საცობის კერა გახდა, რადგან პუშკინის ქუჩაზე სამშენებლო ტექნიკის მობილიზების გამო, გზის სავალი ნაწილის გარკვეული მონაკვეთი გადაიკეტა.

მაგდა პაპიძე: „პოლიციაში გამხადეს და ჩემზე ძალადობა ცადეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ელენე ჩხეიძე

საქმის პროკურორის თქმით, გარდაცვლილ ომარ ქაფიაშვილს თავის არეში აღენიშნება ბლაგვი საგნით მიყენებული ჭრილობა, რაც შესაძლოა სწორედ ეროთი იყოს მიყენებული.

სწორედ ამიტომ პროკურორი დაინტერესდა, რატომ გადააგდო ბრალდებულმა მაგდა პაპიძემ პირველ რიგში ურო. პროკურორი ასევე დაინტერესდა, თუ რატომ იყო ოთახი სისხლიანი.

მაგდა პაპიძემ პროკურორის კითხვებზე განაცხადა, რომ ოთახი იმიტომ გასისხლიანდა, რომ ის ოთახში მანქანის გასაღების ასაღებად ავიდა, რათა მისი უგონოდ მყოფი მეუღლე და შვილი საავადმყოფოში გადაეყვანა.

* * *

საბოლოოდ მაგდა პაპიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

როგორც მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა განაცხადა, გადაწყვეტილების მიღებისას მან გაითვალისწინა ბრალდების მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც დასაბუთებულ ვარაუდს იძლევა, რომ ბრალდებულის მიერ შესაძლოა ჩადენილ იქნეს დანაშაული.

მოსამართლემ გადაწყვეტილება ადგილზე თათბირით მიიღო.

შემდეგი სასამართლო სხდომა 2016 წლის 10 თებერვალს, 12.00 საათზე ჩატარდება.

მაგდა პაპიძის ადვოკატი აღკვეთის ღონისძიების განჩინების გასაჩივრებას აპირებს.

ამის შესახებ ადვოკატმა ხათუნა ჩხაიძემ საქალაქო სასამართლოში პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა.

ადვოკატის თქმით, მაგდა პაპიძე უდანაშაულოა და ამის შესახებ მან პროცესზეც ისაუბრა.

– პაპიძემ განაცხადა, რომ ის უდანაშაულოა. მაგდამ ისიც განაცხადა, თუ რატომ გადაადგო ურო – იმიტომ, რომ მას ქმრის ეშინოდა. მან ეს სასამართლოზე ნათლად განაცხადა. ჩვენი შუამდგომლობა განპირობებული იყო იმით, რომ მაგდა პაპიძე ვერანაირად ვერ მოახდენდა გავლენას გამოძიებაზე. მაგდა პაპიძეს ასევე სურდა თავისი ქმრისა და შვილის დაკრძალვაზე დასწრება, – განაცხადა ადვოკატმა ხათუნა ჩხაიძემ.

ჟურნალისტებთან ბრალდების მხარემაც ისაუბრა.

პროკურორის თქმით, გადამოწმდება ის განცხადებები, რომლებიც ბრალდებულმა მაგდა პაპიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში გააკეთა, კერძოდ, მის წამებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მის მეგობარ მამაკაცს, ოთარ ბერძენიშვილს, პროკურორ ელენე ჩხეიძის თქმით, ის არ მონაწილეობს დანაშაულში, თუმცა საქმეზე დაკითხულია.

ამასთან, პროკურორმა განაცხადა, რომ ყველა ნივთმტკიცება ამოღებულია გამოძიების მიერ და დანიშნულია ექსპერტიზა.

ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვას, რომ ბუნკერიდან ამოღებულია მაგდა პაპიძის შვილის ფოტოებიც, პროკურორმა ასე უპასუხა:

– ნაგვის ბუნკერიდან მართლაც ამოღებულია ფოტოები, თუმცა დადგინდება, თუ ვისი ფოტოებია ამოღებული.

პროკურატურამ მკვლელობის მოტივზეც ისაუბრა.

ელენე ჩხეიძის თქმით, მკვლელობის მოტივი იყო ის, რომ ბრალდებული მაგდა პაპიძე ვერ იტანდა მეუღლეს და მასთან ჰქონდა კონფლიქტი.

* * *

– მე მკვლელი შვილი არ გამიზრდია, – განაცხადა მაგდა პაპიძის დედამ, ლია შამუგიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესის დასრულების შემდეგ.

მისი თქმით, მაგდა პაპიძე თავის მცირეწლოვან შვილს არ მოკლავდა. რაც შეეხება იმას, იცოდა თუ არა მან მაგდა პაპიძესა და მის მეუღლე ომარ ქაფიაშვილს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ, ლია შამუგიამ განაცხადა, რომ

ლია შამუგია

მეუღლეებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა, ბოლოს რა მოხდა, დეტალურად არ იცის.

– კარგი ურთიერთობა კი ჰქონდათ, მაგრამ, ბოლოს რა მოხდა, არ ვიცი. ისინი კი იყვნენ კონფლიქტში, მაგრამ ამას არავინ მოელოდა. ძალიან თბილად მყავს ჩემი შვილი გაზრდილი. ის კარგი დედა იყო და ვერ ვიტყვი ჩემს შვილზე, რომ ის მკვლელია. გამორჩეული დედა იყო და ეს ამბავი ჩემთვის შოკია, მე მკვლელი შვილი არ გამიზრდია, – განაცხადა ლია შამუგიამ.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

„ირაკლი დოკვაძე გარეთ უნდა იყოს“

გულიკო ბალაძე

ქსნის კოლონიაში პატიმარი ირაკლი დოკვაძე შიმშილობს მისი საქმის გადასინჯვის მოთხოვნით. დოკვაძის მდგომარეობა კრიტიკულია. „რეპორტიორის“ პრესკლუბში ყოფილმა სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა და საკონსტიტუციო კონგრესის წარმომადგენელმა თენგიზ დიხამინჯიამ პრესკონფერენცია გამართეს.

ნანა დევდარიანი განცხადებით, ირაკლი დოკვაძე სასჯელს იხდის იმ დანაშაულისთვის, რაც მას არ ჩაუდენია.

ნანა დევდარიანმა დოკვაძის საქმეში დაზარალებულის აზრი გაახმოვანა, რომ ირაკლი დოკვაძე საერთოდ შემხებლობაში არ არის მომხდარ დანაშაულთან:

– დაზარალებული, ვისი სიცოცხლის მოსპობის გამოც სასჯელს იხდის ირაკლი დოკვაძე, აცხადებს, რომ ირაკლი დოკვაძე შეხებაში არ არის ამ საქმესთან, რაც საქმის ხელახალი გამოძიების საფუძველია.

ნანა დევდარიანი მოუწოდებს სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს, აწარმოოს დიალოგი პარლამენტის უმრავლესობასთან და უმცირესობასთან, რათა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი მოიძებნოს.

– დოკვაძის საქმე ლაკმუსის ქაღალდია დღევანდელი ხელისუფლებისთვის. ხელისუფლებას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა იმაზე, რაც შეიძლება მოხდეს. პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა. დოკვაძის საქმე არის დეტონატორი იმისა, რომ პროცესები ბოლომდე მივიდეს, – აცხადებს ნანა დევდარიანი.

თენგიზ დიხამინჯია კი ამბობს, თუნდაც დოკვაძეს დანაშაული რომ ჰქონდეს ჩადენილი, იმის გამო, რომ ის რეაბილიტირებულია და 23 წელი უკანონოდ, უსამართლოდ იჯდა ციხეში, ახლანდელი სასჯელი ეთვლება მოხდილად.

– მართლმსაჯულებამ უნდა დაადგინოს, 23 წელს რომ დაემატოს 6 წელი და 8 თვე, იმდენია, რომ დოკვაძე უკვე გარეთ უნდა იყოს, – აღნიშნავს თენგიზ დიხამინჯია.

– ხელისუფლებას რა უშლის ხელს, რატომ არ იღებს გადაწყვეტილებას, უკანონოდ დაპატიმრებულთა საქმეების გადასინჯვის ან ხელახალი გამოძიების თაობაზე?

– დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილ-ადეიშვილის სისტემის მძევალია. მძევალს კი თავისუფალი ნება, თავისუფალი ცნობიერება არ გააჩნია, სხვადასხვა ბნელი ძალების მიერ იმართება, ქვევრშია მოქცეული და იქიდან ვერ ამოდის. ამიტომ ჩვენ ეს ადამიანები უნდა ვაიძულოთ, სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღონ.

– რა მდგომარეობაშია ირაკლი დოკვაძე?

– მისი მდგომარეობა საგანგაშოა. ითხოვს შეხვედრას სხვადასხვა თანამდებობის პირებთან.

– არავის მოუნახულებია?

– ჯერ არა. ირაკლი დოკვაძეს იმედი აქვს, რომ პარლამენტიდან გამოეხმაურებიან. ეკა ბესელიადან დაიწყება გამოხმაურება. მე ვარ ერთადერთი მეკავშირე. ორჯერ გამოვედი ამ თემაზე.

– დოკვაძეს რისი იმედი აქვს?

– ის უდანაშაულოა. დოკვაძის საქმეში დაზარალებულმა ქალბატონმა ელზა გულიაშვილმა დოკვაძის დედას პირდაპირ განუცხადა, რომ ირაკლი დოკვაძე ამ საქმეში არ არის დამნაშავე. ამ ადამიანმა აღიარა, რომ ირაკლი დოკვაძე უდანაშაულოა და პროკურატურას სულ სხვა ვექტორი უნდა ჰქონდეს ძიების დროს. საუბნდროდ, დღევანდელი პროკურატურა და სასამართლო ამას არ ითვალისწინებს.

პროკურორები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამგვარი საქმეების ძიებაში, გადანაწილებული არიან სხვადასხვა სამართალდამცავ სტრუქტურებში, მათ ხელს აფარებენ და მიზანდასახულად ხდება საქმის მიფუჩეჩება.

– წინა ხელისუფლებისდროინდელ პროკურორებს რატომ უნდა აფარებდნენ ხელს?

– უკანონოდ დაპატიმრებულთა საქმეების პროკურორებს ხელს აფარებენ, რადგან კოაბიტაციაა. დღეს ისეთი სიტუაციაა, ასეთი პროკურორები და მოსამართლეები აქეთ გვიტევენ. არანაირი ანალიზი არ ხდება და, მაგალითად, ტელევარსკვლავად გვევლინება მოსამართლე მურუსიძე, რომელიც გირგვლიანის და სხვა მსგავსი საქმეების მოსამართლეა.

– მურუსიძე ამბობს, რომ მის წინააღმდეგ პირი შეკრეს ხელისუფლებამ, ოპოზიციამ და არასამთავრობოებმა.

– ახლა დაჩაგრულად გვაჩვენებს თავს, გამაოგნებელია.

საქართველოში პირველად გაიცემა როგორც ქართული, ისე ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომები

2015 წელს სტიპენდიატი სტუდენტების რაოდენობა გაორმაგდა

სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსების პოზიტიური შედეგები

ახალი ხელისუფლების მიერ უმაღლეს განათლებაში თანხების გაზრდამ წინა წლების შედეგები რადიკალურად შეცვალა. არსებული მონაცემებით, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო თუ სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სტუდენტთა რიცხვი, სტუდენტთა საერთო რაოდენობის 50%-ს გაუტოლდა.

მესამე წელია სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, 21 პრიორიტეტულ ფაკულტეტზე უფასოდ ისწავლონ.

გაორმაგებულია სტიპენდიატი სტუდენტების რაოდენობაც, ხოლო სოციალური პროგრამების ფარგლებში დაფინანსებულთა რიცხვი, წინა წლების მაჩვენებელს 3-ჯერ აღემატება.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, 2013 წლიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რიგი ღონისძიებები გაატარა.

მთავარი კი ის არის, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან და არსებული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის პროგრამული მიმართულებები, რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სახელმწიფო სრულად აფინანსებს.

პროგრამის მიზანია ხელმისაწვდომობის გაზრდა და სახელმწიფო უნივერსიტეტების პროგრამული დაფინანსების ხელშეწყობა.

მართალია, პირველ ეტაპზე 17 პრიორიტეტული მიმართულება განისაზღვრა, მაგრამ დღეისათვის, 21 მიმართულება ფინანსდება, რომელ ხარჯებსაც სახელმწიფო სრულად ფარავს.

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ეს პროექტი თანხებში შემდეგნაირად გამოიყურება – 2013 წლიდან დღემდე, პრიორიტეტული საბაკალავრო პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილია 34.218.750 ლარი. ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტული მიმართულებების ჩამონათვალს აგრარული მეცნიერებები დაემატა.

* * *

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, როგორც ცნობილია, სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტები გაიცემა. 2012 წელს პროგრამის დასაფინანსებლად თუ 10.950.000 ლარი განისაზღვრა, 2013-2015 წლებში, ამ მიმართულებით დაფინანსებამ 33.485.000 ლარი შეადგინა.

მნიშვნელოვანი ზრდა განხორციელდა სახელმწიფო სტიპენდიების პროგრამასთან მიმართულებითაც.

წინა წლებთან შედარებით სტიპენდიანტი სტუდენტების რაოდენობა გაორმაგდა და 2,6-ჯერ გაიზარდა დახარჯული თანხების მოცულობა: 2012 წელს დაფინანსება შეადგენდა 1.750.000 ლარს, 2013 -2015 წლებში კი, ამ მიმართულებით გახარჯულმა თანხამ 12.275.000 ლარი შეადგინა.

მოქმედებს სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო საგრანტო დაფინანსება სოციალური პროგრამების ფარგლებში.

წინა წლებთან შედარებით, სოციალური პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა გასამმაგდება. ამ მიმართულებით დახარჯული თანხები 3,5-ჯერ გაიზარდა.

2012 წელს თუ 1.118.000 ლარი გამოყო სახელმწიფომ, 2013 -2015 წლებში დაფინანსებამ 14.620.000 ლარი შეადგინა.

წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა და დახარჯული თანხები. შედეგად, მოქმედი სტუდენტების საერთო რაოდენობის 50% სახელმწიფო დაფინანსებას იღებს.

მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, რომლის ფარგლებში, 2013-2015 წლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის გაფორმდა მრავალწლიანი ხელშეკრულებები 16,1 მლნ ლარის ოდენობით.

აღნიშნული თანხა გამოიყო შვიდი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სარეაბილიტაციო პროექტების დასაფინანსებლად.

* * *

უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შედეგზე და განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემაზე გადადის, რისთვისაც ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტები შეიცვლება.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის განახლებული სისტემა გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივ ანალიზს დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე და შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართულობას.

განათლების ხარისხის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გახდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპული ქსელის – ENQA-ს აფილირებული წევრი, ხოლო გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ავტომატიზაციის პროექტი – „განათლების ხარისხი და ელექტრონული მართვის პროექტი“.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად ხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრამები და საკანონმდებლო ინიციატივებიც.

კანონმდებლობით განსაზღვრულია უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და ერთობლივი, ორმაგი/მრავლობითი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაძლებლობები, რაც ექსპერტთა თქმით, ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების მიმართ ნდობის ამაღლებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ათასწლეულის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში 2015 წლის სექტემბრიდან სან-დიეგოს უნივერსიტეტმა საქართველოში ოპერირება დაიწყო სამი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე.

საქართველოში პირველად გაიცემა როგორც ქართული, ისე ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომები.

ნინო ბუაძე

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

საპატრიარქოსთან ახალგაზრდა მამაკაცმა თვითდაზიანება მიიყენა

გუშინ, 22 დეკემბერს, საპატრიარქოსთან ინციდენტს ჰქონდა ადგილი.

ახალგაზრდა მამაკაცმა, პაატა ხუციშვილმა, მარჯვენა ხელზე ჭრილობები მიიყენა და რამდენიმე ადგილი დაისერა.

დაშავებულს პირველადი დახმარება საპატრიარქოს დაცვის თანამშრომელმა აღმოუჩინა. როგორც პაატა ხუციშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, იგი პატრიარქთან შეხვედრას ცდილობდა, რაშიც დაცვამ ხელი შეუშალა.

ხუციშვილი აცხადებს, რომ დაცვის თანამშრომლებმა იგი „ხელის გადაგრეხით“ გამოიყვანეს ტერიტორიიდან.

მისივე თქმით, ორი კვირაა ცდილობს პატრიარქთან შეხვედრას და მის ოჯახურ პრობლემაზე საუბარს. თუმცა დაცვის თანამშრომლები მას ამაში ხელს უშლიან.

ხუციშვილმა საუბრისას ასევე განაცხადა, რომ თუ პატრიარქთან არ შეუშვებენ, საკუთარ თავს უფრო მეტ დაზიანებას მიაყენებს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ხოდორკოვსკის ოფისებში ჩხრეკა ჩატარდა

რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტის თანამშრომლებმა ჩაატარეს ჩხრეკები „ოტკრიტაია როსიას“ (ლიდერი მიხეილ ხოდორკოვსკი) ოფი-

სებში. მიზეზი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაა.

თავად ხოდორკოვსკიმ, რომელიც ახლა ემიგრაციაში ცხოვრობს, მომხდარზე შემდეგი კომენტარი გააკეთა:

– პუტინის ლაქიების მხრივ გამოთქმულ აბსურდულ ბრალდებებს კარგა ხანია შევეჩვიე. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ კარგად ვიბრძვით!

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააგრძელა

ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები 2016 წლის 31 ივლისამდე გააგრძელა.

– რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დარეგულირებაში პროგრესი არ შეინიშნება და ეს რუსეთის გამო ხდება. ამიტომაც სანქციები გავაგრძელეთ, – თქვა დონალდ ტუსკმა.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა სანქციების გაგრძელების თემაზე საინტერესო კომენტარი გააკეთა.

მან განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებით ევროპამ უკვე მილიარდობით ზარალი ნახა, თუმცა სანქციების არ გაგრძელება უფრო მეტ ზარალს მოიტანდა.

– უკრაინაში ნაციონალიზმის ხარისხი მაღალია. ასე იყო მეორე მსოფლიო ომის დროსაც, როცა უკრაინა როგორც ჰიტლერულ გერმანიას, ასევე საბჭოთა კავშირსაც დაუპირისპირდა. დღესაც უკრაინელები დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან. თუკი სანქციებს არ გავაგრძელებთ, ფართომასშტაბიანი ომი გაჩაღდება, რაც ბევრად ძვირი დაგვიჯდება, ვიდრე მილიარდობით დოლარის დანაკარგი! – თქვა მერკელმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელებას არალოგიკური უწოდა.

– ევროპას სურს დონბასისათვის დაგვსაჯოს, თუმცა გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ სანქციებით კურსის შეცვლას გვაიძულებენ! – ამბობს ლავროვი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსეთში სტალინის დაბადების დღე აღნიშნეს

რუსეთში იოსებ სტალინის დაბადების დღე აღნიშნეს. მოსკოვის ცენტრში რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ ამასთან დაკავშირებით მიტინგი მოაწყო. მასზე სიტყვით კომპარტიის ლიდერი გენადი ზიუგანოვი გამოვიდა.

– ახლოვდება დრო, როცა მთელ რუსეთში სტალინის ძეგლებს დადგამენ! – თქვა ზიუგანოვმა.

სტალინის მადიდებელი მიტინგები ჩატარდა სტავროპოლში, ვოლგოგრადში, ნოვოსიბირსკში, ჩი-

ტაში. პენზაში კომპარტიის ადგილობრივი ობკომის შენობაში სტალინის ცენტრიც გაიხსნა.

– ესაა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ჩვენ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შევისწავლით, რათა შემდგომში ეს მთელ რუსეთს გავაცნოთ, – აცხადებენ პენზელი კომუნისტები.

მიტინგები, რომლებიც რუსეთის ბევრ ქალაქში გაიმართა, მრავალრიცხოვანი იყო. მომიტინგეებს მოჰქონდათ წითელი დროშები და სკანდირებდნენ:

– გაუმარჯოს სტალინს, რუსეთის უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეს!

ლევადა-ცენტრის კვლევით, რუსეთის მოქალაქეთა 77% სტალინს დიდ რუს მოღვაწედ მიიჩნევს, 54% კი თვლის, რომ სახელმწიფოს მართვის სტალინური წესები უნდა აღდგეს, თავად სტალინს კი ძეგლები დაუდგან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

სანახევროდ გაპარსულმა კატამ ინტერნეტი დაიპყრო

კატის ფოტოსურათმა, რომელიც ქირურგიული ოპერაციისთვის სანახევროდაა გაპარსული, ინტერნეტი დაიპყრო. სურათი ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა გამოაქვეყნა, რომელიც სავარაუდოდ აშშ-ში ცხოვრობს. სურათზე ჩანს, რომ კატის წინა ნაწილი

სრულიად ჩვეულებრივ გამოიყურება, ხოლო უკანა ნაწილი ბეწვისგან განთავისუფლებულია. სურათის ავტორმა კომენტარში დაწერა: „ჩემი ახლობლის კატას ოპერაცია გაუკეთდა და ახლა უშარვლოდაა“.

ფოტოსურათმა ძალიან მოკლე დროში 2 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა და, როგორც ჩანს, მისმა „უცნაურმა გარეგნობამ“ ინტერნეტ-მომხმარებლები გააოგნა. მას მეტსახელიც კი შეურჩიეს – „ნახევარკატა-ნახევარწიწილა“.

კონკრეტულად რა სახის ოპერაცია გაუკეთდა ინტერნეტის ახალ გმირ კატას, უცნობია.

ევერესტის დამპყრობელი იაპონიის მთებში დაიღუპა

იაპონელი ალპინისტი ქალი კეი ტანიგუტი კუნძულ ჰოკაიდოს მთებში დაიღუპა. მისი ცხედარი პოლიციელებმა 22 დეკემბერს კუროდაკეს მთათა სისტემის რაიონში აღმოაჩინეს.

43 წლის ტანიგუტი 1984 მეტრი სიმაღლის კლდეზე ასვლას ოთხ ალპინისტთან ერთად ახორციელებდა. 21 დეკემბერს ის თოკს ჩაეხსნა და მარტო წავიდა, რის შემდეგაც დაიკარგა. მის საძიებო ოპერაციაში პოლიციასა და სამხედრო შვეულმფრენთან ერთად მოხალისეებიც იღებდნენ მონაწილეობას.

კეი ტანიგუტიმ 2007 წელს ევერესტი დაიპყრო. ის მსოფლიოში პირველი მთამსვლელი იყო, რომელმაც ტიბეტში მწვერვალ კამეტზე ასვლა სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან განახორციელა და რომელიც მანამდე მიუვალად ითვლებოდა. მწვერვალის სიმაღლე 7756 მეტრს შეადგენს.

ოლანდი, ბიბერი და პრინცი ჰარი წლის მამაკაცებად დასახელდნენ

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, კანადელი მომღერალი ჯასტინ ბიბერი და ბრიტანელი პრინცი ჰარი 2015 წლის ყველაზე სტილური ადამიანების სიაში მოხვდნენ.

სიაში შევიდნენ პოლიტიკოსები, მუსიკოსები, მსახიობები და სხვა ცნობილი პიროვნებები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ადგილების მიხედვით არ გადაუნაწილებიათ.

ყველაზე სტილური პერსონების რიცხვში ასევე მოხვდნენ სიენა მილერი, ჯენიფერ ლოურენსი, დაკოტა ჯონსონი, ჯულიანა მური და ლეა სეიდუ.

რეიტინგში ასევე წარმოდგენილნი არიან მოდელები ლინეიზი მონტერო და კენდალ ჯენერი, პოლიტიკოსი ჰილარი კლინტონი, ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი ჯორჯ ოსბორნი, კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრიუდო, „ვარსკვლავური ომების“ რეჟისორი ჯეი ჯეი აბრამსი და მსახიობი კოლინ ფარელი.

ლიტველი ბალტიისპირეთის ყველაზე ლამაზ გეიდ აღიარეს

რიგის ერთ-ერთ კლუბში გაიმართა ყოველწლიური გეების სილამაზის კონკურსი ბალტიისპირეთის ქვეყნების მონაწილეობით. პირველი ადგილი ლიტვის წარმომადგენელ ტომასს ერგო.

მამაკაცი მაყურებლების წინაშე ავსტრიელი მომღერლის ტომ ნოივირტის სახით წარდგა, რომელიც უფრო მეტად კონჩიტა ვურტსის ფსევდონიმითაა ცნობილი და რომელიც ცნობადი სახე 2014 წელს ევროვიზიის სიმღერის კონკურსში გამარჯვების შემდეგ გახდა.

არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის კონკურსში ჩვეულებრივ ყოველი ქვეყნიდან ორი წარმომადგენელი მონაწილეობს, თუმცა წელს მასში მხოლოდ ხუთმა კონკურსანტმა მიიღო მონაწილეობა. ლიტვა მხოლოდ ერთმა მონაწილემ ტომასმა წარმოადგინა, ვინაიდან მეორემ ფეხი მოიტეხა. კონკურსში მეორე და მესამე ადგილები ესტონელ გეებს ერგოთ.



ჩინეთში მამაკაცი ვეფხვის ვოლიერში ჩახტა

ჩინეთის ხენანის პროვინციაში ადგილობრივი ზოოპარკის ერთ-ერთი დამთვალიერებელი ვეფხვთან ვოლიერში აღმოჩნდა. მამაკაცი მტაცებელი ცხოველის ვოლიერის თავზე გაჭიმულ ბადეზე აღმოჩნდა.

სათვალთვალო კამერის ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ხტება 40 წლის მამაკაცი საბაგირო სავარძლიდან, როდესაც ის ვეფხვის ვოლიერის თავზე აღმოჩნდება. ვარდნა ბადემ შეაჩერა, რომელიც მამაკაცის სიმძიმისგან ჩაიღუნა. მტაცებელი შეეცადა მას მისწვდენოდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი ჩინეთის ცენტრალურმა ტელევიზიამ აჩვენა და ის ასევე იუთუბის არხზე განთავსდა.

როდესაც მამაკაცი ბადიდან ჩამოხსნეს, მან განაცხადა, რომ ეს საქციელი უბრალოდ მძაფრი შეგრძნებების განსაცდელად ჩაიდინა. ის ფსიქიკურად შერაცხადად აღიარეს, ხოლო საკუთარი ქმედების გამო მოუწევს თუ არა პასუხისგება, უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

მკურნალობა

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.
- ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

აბუსერიძე პრეზიდენტობას არ გამორიცხავს, ზირაქიშვილი მხარს უჭერს

სარაგბო სამყარო ისევ გაყოფილია – ერთიანობის მითი ჩაიფუშა, კონკრეტულ მიზეზებზე კი არავინ საუბრობს.

ამის დასტურია არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს სპორტის საზოგადოების ინიციატივით მოწყობილი შეხვედრა, რომელსაც ქართული რაგბის ვეტერანები, მოქმედი მორაგბეები და მწვრთნელები დაესწრნენ. შეხვედრაზე მიწვეული იყო რაგბის კავშირის ხელმძღვანელობაც, თუმცა რაგბის კავშირიდან არავინ მისულა.

როგორც მოგეხსენებათ, რაგბის კავშირის არჩევნები 20 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა პრეზიდენტობის ორივე კანდიდატმა, გია ნიჟარაძემ და ირაკლი აბუსერიძემ, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს.

შეხვედრაზე აბუსერიძემ არ გამორიცხა, რომ რაგბის კავშირის არჩევნებში კანდიდატურა ხელმეორედ წამოაყენოს.

ირაკლი აბუსერიძე:

– მე დღემდე ვმუშაობ ქართულ რაგბიში და წასვლას არ ვაპირებ – სადაც დავჭირდები ქართულ რაგბის, მზად ვარ, იქ დავდგე. რა პოზიციაზე ვიქნები, ამას მნიშვნელობა არ აქვს. თუ საჭირო გახდება, პრეზიდენტობის კანდიდატურის ხელმეორედ წამოყენებას არ გამოვრიცხავ.

შეხვედრაზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს საქართველოს რაგბის ნაკრების ყოფილმა თუ ახლანდელმა წევრებმა, სხვადასხვა თაობის მორაგბეებმა და მწვრთნელებმა.

საკუთარი პოზიციას საფრანგეთიდან სკაიპის მეშვეობით დაუფიქსირა საქართველოს ნაკრების ყოფილმა მორაგბემ და ფრანგული კლუბ კლერმონის წევრმა დავით ზირაქაშვილმა.

ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა აბუსერიძეს მხარი ღიად დაუჭირა და განაცხადა, რომ ქართულ რაგბიში ცვლილებები უნდა დაიწყოს.

დავით ზირაქიშვილი:

– უკვე მივედით რაღაც დონემდე და სხვა, ახალი ენერგია და სხვა პროფესიონალიზმია საჭირო. ამ ყველაფერს უნდა სხვანაირი მიდგომა და სწორედ ისეთი ხალხის მუშაობაა საჭირო, ვისაც რაგბი ესმის და ვინც პროფესიულ დონეზე ითამაშა. მჯერა, რომ ირაკლი აბუსერიძე ამის გამკეთებელია, რადგან მან ძალიან კარგად იცის, რა არის პროფესიული რაგბი.

შედეგები

21 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-სიტი						2:1
სატურნირო ცხრილი:						
1.ლესტერი	17	11	5	1	37-24	38
2.არსენალი	17	11	3	3	31-14	36
3.სიტი	17	10	2	5	33-19	32
4.ტოტენჰემი	17	7	8	2	28-14	29
5.მანჩესტერი	17	8	5	4	22-14	29
6.კრ.პალასი	17	9	2	6	23-16	29
7.უოტფორდი	17	8	4	5	21-16	28
8.ვესტ ჰემი	17	6	7	4	25-21	25
9.ლივერპული	17	6	6	5	20-22	24
10.ევერტონი	17	5	8	4	31-24	23
11.სტოკი	17	6	5	6	14-16	23
12.საუთჰემპტონი	17	5	6	6	21-21	21
13.ვესტ ბრომვიჩი	17	5	5	7	17-23	20
14.ბორნმუთი	17	5	4	8	22-32	19
15.ჩელსი	17	5	3	9	21-27	18
16.ნორვიჩი	17	4	5	8	20-29	17
17.ნიუკასლი	17	4	5	8	19-32	17
18.სუონსი	17	3	6	8	15-24	15
19.სანდერლენდი	17	3	3	11	18-33	12
20.ასტონ ვილა	17	1	4	12	14-31	7

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბილბაო ბ-ლუგო	1:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

პადერბორნი-ფორტუნა	0:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბრაგა-ფერეირა	1:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

აეკი-ლევადიაკოსი	1:2

თურქეთი. სუპერლიგა

ოსმანლი-ბეშიქთაში	2:3

პოლონეთი. ეესტრაჯლასა

პოდბესკიჟიე-შლიონსკი	0:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

მედიცინა

როგორ ამოვიცნოთ წითელა

წითელას ინკუბაციური პერიოდი 9 – 11 დღეა. პროდრომულ ან კატარალურ პერიოდში ტემპერატურა მატულობს 38,5 – 39 გრადუსამდე, ვითარდება სინათლის შიში, კონიუნქტივიტი, სურდო, მშრალი მყეფავი ხველა; ავადმყოფის სახე ჰიპერემიულია. კატარალური პერიოდის მე-2–მე-3 დღეს შეიძლება გამოვლინდეს ლოყის ლორწოვან გარსზე, განსაკუთრებით კარიესული კბილების პირდაპირ, წვრილი, მოთეთრო, ზედაპირიდან ამოწეული წერტილების გაჩენა;

ლორწოვანის აღნიშნული ცვლილება მოგვაგონებს მასზე ქინძისთავის მრავლობით ნაჩხვლეტებს. აღნიშნული სიმპტომი წარმოადგენს დიაგნოზის აბსოლიტურად ზუსტ მტკიცებულებას.

კატარალური პერიოდის მე-3 დღიდან მაგარ სასაზე ვითარდება ჰიპერემია და გაფაშრება. წითელას მიმდინარეობის მეორე პერიოდი – გამონაყრის პერიოდი იწყება დაავადების მე-4 დღეს, მას თან სდევს ტემპერატურის მნიშვნელოვანი მომატება (39,5 – 40,50 გრადუსი) და კანზე დამახასიათებელი მსხვილლაქოვანი წითელას გამონაყრის გაჩენა.

თავდაპირველად გამონაყარი ვრცელდება სახის კანზე და ყურების უკან, მე-2 დღეს გამონაყარი ვრცელდება სხეულის ზედაპირზე და ზედა კიდურების უბნებზე; მე-3 დღიდან გამონაყარი ვლინდება ქვედა კიდურებზეც.

გამონაყარი შედგება 3-4 სმ დიამეტრის, მუქი ვარდისფერი, ზედაპირიდან ამოწეული მრგვალი ლაქებისგან, ადგილ-ადგილ გამონაყარი შეიძლება გახდეს შერწყმისადმი მიდრეკილი, თუმცა მაინც ინარჩუნებს თავის ლაქოვან-პაპულოზურ ხასიათს.

განლეულ, დასუსტებულ დისტროფიკ ბავშვებში, გამონაყარმა შეიძლება მიიღოს მოლურჯო ელფერი. სისხლის სურათი ხასიათდება ლეიკოპენიით და შედარებითი ლიმფოპენიით.

კატარული პერიოდის დასაწყისში აღინიშნება ლეიკოციტოზი ნეიტროფილოზით. გაურთულებელი წითელას დროს, გამონაყრის პერიოდის მე-4 დღეს, ტემპერატურა ნორმას უბრუნდება ან ჩამოდის სუბფებრილურ ციფრებამდე, იწყება გამონაყრის გაქრობა სახეზე, შემდეგ სხეულზე და ყველაზე გვიან კიდურებზე.

მის ადგილას რჩება უმნიშვნელო პიგმენტაცია, აღინიშნება მცირე აქერცვლა.

ზოგჯერ დაავადება ძალზედ მძიმედ მიმდინარეობს, მას თან სდევს ბოდვები, ქოშინი, ციანოზი, კრუნჩხვები, გავრცელებული ბრონქიოლიტის სურათი; შესაძლებელია ავადმყოფის სიკვდილი დაავადების ადრეულ პერიოდშიც კი.

დიდ საშიშროებას წარმოადგენს წითელას გართულება პნევმონიით. სხვა გართულებებიდან უნდა გამოვყოთ ოტიტები, მასტოიდიტები, სინუსიტები, ცრუ კრუპი. წითელას კრუპის სიმპტომია მოხრჩობის შეტევა, რომელიც უხშირესად ვითარდება ღამით ხმოვანი ნაოჭების შეშუპებით.

მოზრდილებში, განსაკუთრებით თუ ანამნეზში აღნიშნავენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებას, წითელა მიმდინარეობს ძალიან მძიმედ და შესაძლოა დამთავრდეს ლეტალურად.

გამა-გლობულინით ან წითელას საწინააღმდეგო შრატით პროფილაქტიკურად იმუნიზირებულ ავადმყოფებში, წითელა მიმდინარეობს ძალიან მსუბუქად (მიტიგირებული წითელა). გადატანილი დაავადება ტოვებს მყარ იმუნიტეტს.

* * *

როგორ ვუმკურნალოთ წითელას – თერაპიის სპეციფიკური მეთოდები შემუშავებული არ არის; ძირითადია წოლითი რეჟიმი, ჰიგიენის დაცვა, სიმპტომატური საშუალებები.

ბაქტერიული წარმოშობის გართულებების დროს ანტიბიოტიკები.

პნევმონიის, კრუპის, ნეცეფალიტის მკურნალობა ტარდება ზოგადი პრინციპებით. ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია ხორციელდება კლინიკური და ეპიდემიოლოგიური ჩვენების მიხედვით.

სიკვდილის შემთხვევები წითელას დროს ძალზე იშვიათია და აღინიშნება ძირითადად წითელასმიერი ენცეფალიტის დროს.

ბავშვებში აქტიური იმუნიზაცია ტარდება; წითელით დაავადებულის იზოლირება საჭიროა არანაკლებ 5 დღით, გამონაყრის გაჩენიდან; დეზინფექცია საჭირო არ არის.

კბილის ტკივილის დასაამებლად

კბილის ტკივილის დროს ყოველთვის არ არის საშუალება მივმართოთ სტომატოლოგს. მოგაწვდით რჩევებს, თუ როგორ დაიამოთ კბილის ტკივილი სახლის პირობებში:

– აიღეთ ღორის ქონის (შეიძლება როგორც ახალი, ასევე დამარილებული, ოღონდ მარილი მოაცილეთ) ნაჭერი და დაიდეთ ღრძილზე მტკივანი კბილის ქვეშ. 15-20 წუთში ტკივილი გაქრება და საკმაო ხნითაც.

– თუ ოჯახში გაქვთ სალბი (“შალფეი“), მოამზადეთ მისი ნაყენი და თბილივე ჩაიგუბეთ პირში მტკივანი კბილის მხარეს. პროცესი გაიმეორეთ რამდენჯერმე და კბილის ტკივილიც გაქრება.

– მტკივანი კბილის მხარეს, ყურში ჩაიდეთ კარგად გარეცხილი მრავალძარღვას ძირი და გაიჩერეთ ტკივილის გაქრობამდე.

– ავადმყოფს ხელზე, მაჯის შიგნითა მხრიდან უსვამენ დანაყილ ნიორს, შემდეგ ნიორს ადებენ იმ ადგილას, სადაც ისმის პულსაცია და მაგრად უკრავენ ბინტით. თუ კბილი მტკივნეულია მარჯვენა მხარეს, ნიორს მარცხენა ხელის მაჯაზე ადებენ და პირიქით.

– ასისთავას ანუ მარნისის ფოთლის წყალი იხმარება ღრძილებიდან სისხლდენის დროს, პირში გამოსავლებად.

– ასკილის თესლი იხმარებოდა ღრძილებიდან სისხლდენის შესაჩერებლად: „ვინცა ასკილის თესლი დანაყოს და დასისხლიანებულს კბილსა და ღრძილზედა დაიდვას, სისხლი დასწყუიტოს და გაუმრთელოს“.

ფიტოთერაპია – მუხის ქერქის ნახარში შემკვრელია

მუხა – წიფლისებრთა ოჯახის წარმომადგენელი ფოთლოვანი ხეა. იგი ყვავილობას იწყებს 30-40 წლის შემდეგ, ცოცხლობს 400-500 წელი, ზოგიერთი მათგანი 1000-1500 წელიწადი და აღწევენ დიამეტრით 4 მ-მდე.

ყვავილობს აპრილის ბოლოს – მაისის დასაწყისში, ნაყოფი შემოდის სექტემბერ-ოქტომბერში. მუხა საქართველოს ტყეებში ფართოდაა გავრცელებული, როგორც ფართოფოთლოვან, ისე შერეულ ტყეებში, ქმნის მუხნარებს. იგი სითბოსა და სინათლის მოყვარული მცენარეა. პირველ წლებში იზრდება ძალიან ნელა, 10 წლის მუხა სიმაღლით მხოლოდ 1 მ-მდეა.

აგროვებენ მუხის ქერქს აპრილიდან ივნისამდე, როდესაც უჯრედის წვენი ინტენსიურად მოძრაობს. გლუვი ქერქის მოსახსნელად წვრილ ღერებზე დანით აკეთებენ ღრმა წრიულ ნაჭდევს ერთმანეთისგან 30 სმ დაშორებით. შემდეგ მათ აერთებენ ღრმა გრძივი ნაჭდევებით, შემდეგ აცლიან ქერქს ღარაკის ან მილის სახით. ნედლეულს, თხელ ფენად გაშლილს ქაღალდზე ან ქსოვილზე.

აშრობენ ფარდულებში, ან სხვენებზე, რომლებიც კარგნად ნიავდება. ამასთან, ყოველდღიურად აბრუნებენ. გამშრალი ქერქი ხმაურით უნდა ტყდებოდეს. ინახავენ მშრალ ადგილებში ხუთი წლის განმავლობაში.მუხის ქერქის ნაყენები გამოიყენება როგორც შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, პირის ღრუში და ყელში გამოსავლებად სტომატიტების, გინვინიტების, ფარინგიტების დროს. განსაკუთრებით ეფექტურია მუხის ქერქის ნახარში (1:10). ამისათვის 20 გრამი (2 სუფრის კოვზი) დაქუცმაცებული ნედლეული მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ცხელი წყალი, დახურეთ თავსახური და გააცხელეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 30 წუთის განმავლობაში, გააცივეთ 10 წუთი, გადაწურეთ. მიღებული ნახარში გააზავეთ ანადუღარი წყლით საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე.

ნახარში გამოიყენება ღრძილებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების დროს გამოსავლებად 6-8-ჯერ დღეში. ასეთივე კონცენტრაციის ნახარში გამოიყენება კუჭის აშლილობის, კუჭ-ნაწლავიდან სისხლის დენის, ნაწლავების ქრონიკული ანთების დროს. დალიეთ 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ზოგჯერ ნაყენს ამზადებენ შემდეგნაირად: 1 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს ასხამენ 2 ჩაის ჭიქა ცივ წყალს, აჩერებენ 6 საათის განმავლობაში, მიიღებენ 1/2 ჭიქას 3-4-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

სასარგებლოა, იცოდეთ

იმუნიტეტის ასამაღლებლად შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი სახის ნაყენები, მცენარეები შეიძინეთ ფიტოაფთიაქში.

ქრისტესისხლა – ნედლი მცენარე გაატარეთ ხორცსაკეპში და გამოწურეთ წვენი. დააკონსერვეთ იგი არაყით 1:1 და შეინახეთ ოთახის ტემპერატურაზე. სვით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, დააყოლეთ არყის ჭიქით წყალი.

* * *

ნაცარქათამას ფესვი (გადახრილი პეონი, იორდასალიმი) – დააქუცმაცეთ 100 გრამი ფესვი და დაასხით 1 ლიტრი არაყი ან 75%-იანი სპირტი. სვით 0,5-1 ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, დააყოლეთ არყის ჭიქით წყალი.

* * *

თეთრი ფითრი – ნედლი მცენარე დააქუცმაცეთ, გაავსეთ ლიტრიანი ქილის 1/3 და ქილა შეავსეთ არყით ბოლომდე. დააყენეთ 30 დღე, შემდეგ გაწურეთ და დარჩენილი მცენარე გამოწურეთ. სვით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, მიაყოლეთ წყალი.

ამ ბალახების ნაყენები მონაცვლეობით მიიღეთ ყოველ ერთ-ორ კვირაში ერთხელ. სასურველია ერთ-ერთი წყლიანი ნაყენი ან წვენი მიიღოთ საღამოთი, ვახშმის წინ.

მკურნალობის კურსია არაუმეტეს სამი თვისა. დაავადების ლიკვიდაციის შემდეგ სასურველია სვათ ერთ-ერთი ნაყენი ერთხელ დღეში, ან რამოდენიმე მცენარის ჩაი, გემოვნების მიხედვით.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რუსეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზის აღების წესებს ამარტივებს

23 დეკემბრიდან რუსეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზის აღების წესებს ამარტივებს. ინფორმაციას ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყებაში უვიზო რეჟიმის დაწესებასაც არ გამორიცხავენ.

– რუსულ-ქართული ურთიერთობის ნორმალიზების მიმდინარე პროცესის კონტექსტში და ჩვენს ქვეყნებს შორის პოზიტიური ტენდენციების სტიმულირების ინტერესებიდან გამომდინარე, 2015 წლის 23 დეკემბრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის გაფორმდება მრავალჯერადი საქმიანი, სამუშაო, სასწავლო და ჰუმანიტარული, ასევე, კერძო ვიზები, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა სანათესაო კავშირი მოწვეულსა და მომწვევს შორის მოქმედი მოწვევის ფარგლებში, რომელიც გაცემულია რუსეთის ფედერალური მიგრაციული სამსახურის ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

რუსული მხარე მტკიცედაა განწყობილი, მომავალშიც გადადგას ნაბიჯები, რომელიც ორი ქვეყნის მოქალაქეების ურთიერთობის პირობების გამარტივებისკენაა მიმართული და არ გამორიცხავს შემდგომში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უვიზო რეჟიმის შემოღებას, – ნათქვამია საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

* * *

ზურაბ აბაშიძე: „სავიზო რეჟიმის გამარტივება რუსეთის მხრიდან სწორი ნაბიჯია“

– სავიზო რეჟიმის გამარტივება რუსეთის მხრიდან სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ განუცხადა.

მისი თქმით, სავიზო რეჟიმის გამარტივება საქართველოს ბევრ მოქალაქეს მოუხსნის სერიოზულ პრობლემებს.

ზურაბ აბაშიძე:

– ძალიან რთული იყო დღემდე რუსული ვიზის მიღება. ეს ხდებოდა მხოლოდ რუსული ორგანიზაციის ოფიციალური მოწვევის საფუძველზე ან უახლოესი ნათესავის მოწვევის საფუძველზე.

ეს გამარტივება ბევრ ჩვენ მოქალაქეს მოუხსნის სერიოზულ პრობლემებს.

გასათვალისწინებელია რუსეთში მცხოვრები ჩვენი მრავალრიცხოვანი თანამემამულეების ინტერესი, ისევე, როგორც ქართველი ბიზნესმენებისა და რიგითი მოქალაქეების დაინტერესება, რომ რუსეთში მიმოსვლა ხორციელდებოდეს მინიმალური სირთულეებით.

ახლახან ჩვენთვის ცნობილი გახდა ევროკავშირის ისტორიული გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზალიბერალიზაციის თაობაზე.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ჩვენი ხელისუფლების პოზიცია და ინტერესი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს მოქალაქეებს ჰქონდეთ მსოფლიოში თავისუფალი გადაადგილების მაქსიმალური საშუალება. ამგვარად, ამ თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა ახალ წელს მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდება.

მე ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება რუსეთის მხრიდან მართლაც სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, როგორც ეს ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა.

ინტერპრესნიუსი

ელისაშვილი: „კოკაინის საქმის პატიმრების გამოშვებით ეკა ბესელია და მანანა კობახიძე იყვნენ დაინტერესებულნი“

ბესელიამ ელისაშვილს ფლიდი და კორუმპირებული უწოდა

გუშინ, 22 დეკემბერს, ალეკო ელისაშვილმა შეწყალების საქმის ახალი დეტალები გაამხილა.

მან ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში დაადასტურა, რომ კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულების გათავისუფლებით დეპუტატები ეკა ბესელია და მანანა კობახიძე იყვნენ დაინტერესებულნი.

ალეკო ელისაშვილი:

– 2013 წლის 26 ნოემბერს პრეზიდენტის მიერ დავინიშნე შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ. დანიშვნის დღიდან ეკა ბესელია და მანანა კობახიძე ინტერესდებოდნენ მხოლოდ ერთი საქმით. ეს იყო კოკაინის საქმე და ამ საქმის ფიგურანტები. მათ არცერთი სხვა საქმე არ აინტერესებდათ.

ელისაშვილი ამბობს, რომ ბესელია და კობახიძე ხან ურეკავდნენ, ხან მესიჯებს უგზავნიდნენ, ხან მათი სახელით ადვოკატი მოდიოდა.

– ეს საქმე პირველ ჯერზე ავტომატურ უარში მოხვდა, რადგან კრიტერიუმებს ვერ ექვემდებარებოდა, – განაცხადა ელისაშვილმა.

ის ამბობს, რომ მათი დაპირებული დასკვნები და შუამდგომლობები დაგვიანებით გამოიგზავნა, ამიტომ დეკემბრის შეწყალებაში ისინი უარში მოხვდნენ.

– ამის შემდგომ, სააღდგომო შეწყალების წინ, არნახული ინტერესი იყო ბესელიასა და კობახიძის მხრიდან. მათ არცერთი მსჯავრდებულის საქმე არ აინტერესებდათ. მათ აინტერესებდათ მხოლოდ კოკაინის საქმის ფიგურანტები, – აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

მისივე თქმით, კობახიძესა და ბესელიას სურდათ, რომ განსაკუთრებული წესით გაეტანა ეს საქმე შეწყალების კომისიაზე, საქმეს დადებითი რეკომენდაცია მიეღო და გადაგზავნილიყო პრეზიდენტთან დადებითი რეკომენდაციით.

– ანუ ამ ადამიანების ციხიდან გათავისუფლება უნდოდათ. ეს იყო ისტერიული და კატეგორიული მოთხოვნა, – აღნიშნა ელისაშვილმა.

შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე არ ასახელებს, კონკრეტულად რომელი პატიმრის შეწყალებას მოითხოვდნენ აღნიშნული მაღალჩინოსნები.

ალეკო ელისაშვილი:

– კოკაინის საქმეზე მსჯავრდებული რამდენიმე ადამიანია. სახელებსა და გვარებს მე აქამდეც არ ვამბობდი იმიტომ, რომ ეს ადამიანები იმყოფებიან საპატიმროში. ეს ადამიანები სანამ მსჯავრდებულები არიან, მე ყველა მსჯავრდებულის უფლებასა და ღირსებას ვცემ პატივს, რის გამოც არ უნდა იყვნენ გასამართლებული. არც გვარებს ვიტყვი.

ეს ადამიანები არიან ჩაკეტილ სივრცეში და, რაც არ უნდა ილაპარაკონ ჩემზე, მე მათ უფლებებს არ დავარღვევ.

ინტერპრესნიუსი

* * *

გუშინვე, გვიან საღამოს, ეკა ბესელიამ ალეკო ელისაშვილი ღია ეთერში გამოიწვია.

– პირდაპირ და ნათლად ვაცხადებ: მე ვითხოვ, მატყუარა, ფლიდი და მართლაც კორუმპირებული ელისაშვილი დაჯდეს ჩემთან პირდაპირ ეთერში. ალეკო ელისაშვილო, მე გიწვევ შენ პირდაპირ ეთერში! – წერს ეკა ბესელია ფეისბუქში.

თინა ხიდაშელი: „მურუსიძის დანიშვნისას გახსოვდეთ ირინა ენუქიძე“

თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებით, როდესაც ლევან მურუსიძის მოსამართლეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებ, უნდა გახსოვდეს ირინა ენუქიძე. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა პრეზიდენტის რეზიდენციაში ირინა ენუქიძის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოების შემდეგ განუცხადა.

ჟურნალისტები თინა ხიდაშელისგან დაინტერესდნენ, თუ რა მოსაზრება აქვს ლევან მურუსიძის მოსამართლეობის კანდიდატურასთან დაკავშირებით.

თინა ხიდაშელი:

– მე ვარ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი. როგორ გულითაც არ უნდა მინდოდეს ამ თემაზე კომენტარის გაკეთება, ვერ გავაკეთებ. ნებისმიერი სიტყვა, რომელსაც მე ვიტყვი, იქნება ბევრი სპეკულაციის საგანი, რომ ვერევი სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში.

ერთადერთ რამეს ვიტყვი, ეს დღე და ირინა ენუქიძე უნდა გვახსოვდეს, როდესაც ასეთი ტიპის გადაწყვეტილებებს მივიღებთ.

– ძალიან მნიშვნელოვანი დღეა და მინდა მადლობა ვუთხრა პრეზიდენტს. ჩვენ როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, სულ პირველი საჯარო განცხადება, რომელიც საქართველოს პარლამენტში გაკეთდა, იყო სწორედ ირინა ენუქიძის განსაკუთრებული როლის აღნიშვნა და ამის დაფასება.

ეს სჭირდება მის ოჯახს, სჭირდება საქართველოს, რომ ამბავი, რომელმაც ქვეყანა გამოიყვანა უმძიმესი მდგომარეობიდან, არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი. ამიტომ არის დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანი, – განაცხადა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, სისტემა დაანგრია არა სანდრო გირგვლიანის მკვლელობამ, არამედ დაანგრია ირინა ენუქიძის გმირობამ.

თინა ხიდაშელი:

– თუკი შესაძლოა ვისაუბროთ იმაზე, რომ არსებობს დედა, რომელმაც გადაარჩინა ძალიან ბევრი სხვა დედის შვილები, ალბათ, ირინა ენუქიძე და ია მეტრეველი არიან ასეთი დედები.

პრეზიდენტს მადლობა მინდა ვუთხრა ირინა ენუქიძის წვლილის დაფასებისთვის, მის მიერ დაწყებული საქმის დაფასებისთვის.

საქართველოს სჭირდება მუდამ ამის გახსენება, რომ აღარასოდეს დაგვემართოს განუკითხაობა, აღვირახსნილობა სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან, რასაც შეეწირა სანდრო გირგვლიანი, ირინა ენუქიძე და ძალიან ბევრი ახალგაზრდა მაშინდელ საქართველოში.

ინტერპრესნიუსი

ასტროპროგნოზი

23 დეკემბრისათვის



ვერძი – უკიდურესად ნეგატიური დღეა. ისე, როგორც არასდროს, თავშეკავება და ემოციების გაკონტროლება გმართებთ. მიზნის მიღწევაში ხელს ცილისწამება და პარტნიორების ღალატი შეგიშლით. **კურო** – პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. თქვენი პასუხისმგებლობა და შრომისმოყვარეობა ნებისმიერ ახალ წამოწყებაში დაგეხმარებათ. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. სავარაუდოდ, მოვლენები ისე განვითარდება, რომ გამოსავლის მოძებნა საკმაოდ გაგიჭირდებათ. თუმცა, ეს დროებითია. **კირჩხიბი** – იმ საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებთ, რომელშიც ცუდად ერკვევით. მოსალოდნელია სირთულე პარტნიორთან ურთიერთობაში. ვარსკვლავები ბიზნესის სფეროში აქტიურობას არ გირჩევენ. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან რთული ურთიერთობა კვლავ გრძელდება. მოთმინებით აღიჭურვეთ და საქმე ისე აკეთეთ. **ქალწული** – უკიდურესად ნეგატიური დღეა. ისე, როგორც არასდროს, თავშეკავება და ემოციების გაკონტროლება გმართებთ. მიზნის მიღწევაში ხელს ცილისწამება და პარტნიორების ღალატი შეგიშლით. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. ვარსკვლავები გირჩევენ, ნაცნობების არეალი გააფართოვოთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. **ღრიანცალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. კრიტიკული დღეა, სრულიად შეუფერებელი ახალი საქმის დასაწყებად, სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **მშვილდოსანი** – ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. ერიდეთ სისუსტის გამოვლენას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. წარმატება მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი საგრძნობლად დაბალია. იყავით თვითკრიტიკული. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – პასიური და წინააღმდეგობრივი დღეა. მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **თევზები** – ახალი იდეების რეალიზაციისათვის კარგი დღეა. კარიერაში წინსვლაა მოსალოდნელი. მამაკაცებმა სერიოზულად უნდა მიხედოთ ჯანმრთელობას.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ა



შვეულად: 1. ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა აშშ-ში; 2. ნარკოტიკული ნივთიერება; 3. გერმანელი მრეწველი ოპტიკური მინების წარმოების ფუძემდებელი; 5. სათათბირო ორგანო ქრისტიანულ ეკლესიაში; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 9. ქართველი მშვილდოსანი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. აეროპორტი რომში; 11. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 14. ჯარის ძველი სახელწოდება საქართველოში; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ირანში; 18. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი.

თარაზულად: 1. ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატი; 4. ამერიკელ კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის ბალეტი; 7. გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა; 8. სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ძველად საქართველოში; 12. უბანი თბილისში; 13. თურქი ჯარისკაცი; 15. ფულის გამოშვება; 17. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 19. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ჩანაწერი; 20. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 21. ძმარში ჩადებული, შეკაზმული მოხარშული ღორის ფეხებისგან მომზადებული კერძი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თორი; 2. აშარი; 3. ტუაზი; 5. გერანი; 6. კიმიგაიო; 9. ბუდვაიზერი; 10. ბალახვანი; 11. სეგიდელია; 14. ბზა; 16. გვრინი; 18. უშბა.

თარაზულად: 1. თელავი; 4. ნეგრესკო; 7. ვალიზა; 8. ზინდანი; 12. ოდესა; 13. ობლიგო; 15. ყავარი; 17. გზა; 19. ჩოლოყაშვილი; 20. რიალი; 21. სალათი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სუმო; 2. ხიხვი; 3. ეზოპე; 4. მელუა; 5. ჰიმენა; 6. ჯარგვალი; 8. ენტომოლოგი; 10. გუგენჰაიმი; 11. ბობოყვათი; 14. როზეტი; 15. გუთანი; 16. მაგმა.

თარაზულად: 1. საჩხერე; 4. მაჰარაჯა; 7. სესხი; 9. ბელგა; 12. ლეჟავა; 13. სტუკო; 14. რუტერი; 17. ქლიავი; 18. კრიპტოგრამა; 19. ზინდანი; 20. ნაგაზი.

„მის ინტერკონტინენტალის“ ფინალმა ქართველი კონკურსანტის გარეშე ჩაიარა

კიდევ ერი საერთაშორისო კონკურსი აღმოჩნდა ქართველი მოდელისთვის წარუმატებელი. „მის ინტერკონტინენტალი 2015“-ის ფინალს ელენე გამყრელიძე გამოეთიშა.

„მის ინტერკონტინენტალის“ ფინალში გამარჯვება რუსეთის წარმომადგენელმა ვალენტინა რასულოვამ მოიპოვა, მეორე ადგილი ფილიპინელ კონკურსანტს მიენიჭა, მეორე ვიცე მისი ამერიკის წარმომადგენელი გახდა.

საქართველოს წარმომადგენელი ელენე გამყრელიძე ნახევარფინალს მიღმა აღმოჩნდა და კონკურსს გამოეთიშა. ქართველი მოდელებისთვის ბოლო სამი დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ნუკა ყარალაშვილი, ელენე გამყრელიძე და ჯანეტ ქერდიყოშვილი პლანეტის სამ უმთავრეს სილამაზის კონკურსში მონაწილეობდა.

ნუკა ყარალაშვილმა საქართველო „მის მსოფლიოზე“ წარადგინა და ტოპ ოცეულს მიღმა დარჩა, ჯანეტ ქერდიყოშვილი ტოპ 15-ში არ დასახელდა, ელენე გამყრელიძე კი „მის ინტერკონტინენტალის“ კონკურსს ასევე წარუმატებლად გამოეთიშა.

ბერას ახალი სიმღერის გამო აკრიტიკებენ

ქართველი მოზარდები განსაკუთრებული ინტერესით ელიან რეპერი ბერას ახალი სიმღერების გამოშვებას.

თავის მხრივ, ბერაც დიდხანს არ ალოდინებს მათ და სისტემატურად სთავაზობს ახალ-ახალ სიმღერებს. ამ ეტაპზე

მომღერალმა მსმენელს თავისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი „ჩემპიონი“ წარუდგინა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სიმღერის ინტერნეტში გამოჩენას ათასობით მოწონება, გაზიარება და კომენტარი აქვს. რა თქმა უნდა, როგორც წინა სიმღერები, ამ ნამუშევარსაც კრიტიკის გარეშე არ ჩაუვლია.

– და მე მიწაზე ვდგავარ, როგორ ვიყო სუპერსტარი, მარტო ძმები მყავს, არც ერთი მეგობარი... ასე რომ, მოიყვანე ვინც გინდა, ჩემი მშობლების შვილს როგორ უნდა აჯობოს სხვის შვილმა... ქართული ოცნება ჩემი, ოღონდ მათი არა... მიცნობს ყველა ჩემპიონი, ნამდვილი ჩემპიონი – ეს სიტყვები ბერა ივანიშვილის ახალი სიმღერიდანაა, რომელიც მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

სოხუმის თეატრი 130 წლისაა

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო თეატრი 130 წლისაა. ეს თეატრალური სეზონი თეატრისთვის საიუბილეოა. თეატრის ხელმძღვანელობა ამ მნიშვნელოვან თარიღს საქართველოს რეგიონებში დაგეგმილი გასტროლებით აღნიშნავს.

პირველი საიუბილეო გასტროლი სოხუმის თეატრმა ბათუმში განახორციელა. თეატრის დასმა ბათუმელ მაყურებელს ორი სპექტაკლი შესთავაზა. დავით საყვარელიძის მიერ დადგმული „ნავიგატორი“ ლაშა ბუღაძის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით, რომელიც ბიბისის რადიოპიესების კონკურსის გამარჯვებულია და „სხვა საქართველო სად არის“, მერაბ ყოლბაიას მიერ დადგმული სპექტაკლი ქართველი პოეტების ლექსებზე, რომელიც აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტკივილს აერთიანებს.

ჯემალ ქირია, სოხუმის თეატრის დირექტორი:

– ეს წელი სოხუმის თეატრისთვის საიუბილეოა. ჩვენ 130 წელი შეგვისრულდა. წლის ბოლოსთვის თეატრს უნდოდა შექსპირის „მეფე ლირის“ პრემიერა ეთამაშა, მაგრამ დიმა ჯაიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, პრემიერა გადაიდო.

თეატრის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოში დავიწყეთ საიუბილეო ტურნე. ბათუმი იყო პირველი, სადაც ჩვენი სპექტაკლები ჩავიტანეთ. ბათუმის თეატრი რემონტზეა, ამიტომ ახალ სცენაზე ვითამაშეთ და იქვე გადავწყვიტეთ, რომ მომავალ წელს ბათუმში ჩავატარებთ სოხუმის დღეებს და ახალი სპექტაკლებით ჩავალთ.

როდესაც სოხუმის თეატრიდან დიმა ჯაიანთან ერთად გაგვიშვეს, საქართველოს რეგიონებში გასტროლების ტრადიცია შეჩერდა. ჩვენი დაბრუნების შემდეგ კი ისევ აღდგა.

სოხუმის თეატრი იუბილეს ფარგლებში ბათუმის შემდეგ აუცილებლად ჩავა საქართველოს დიდ ქალაქებში და რეგიონის მაყურებელს თავის შემოქმედებას წარუდგენს.

მზია ორველაშვილი თბილისის თასის ტურნირის გამარჯვებულია

სპორტულ და სამეჯლისო ცეკვებში ჩატარებული თბილისის თასი წარმატებული გამოდგა მზია ორველაშვილისთვის. მოცეკვავე ფართო საზოგადოებამ „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ გაიცნო. მზია პროექტში აქტიურად მონაწილეობდა და პარტნიორობას უწევდა ოთარ ტატიშვილს, ზურა მანჯავიძეს, თიელის, გუგა კუზანოვს. მზიამ ზურა მანჯავიძესთან ერთად პროექტის მოგება შეძლო, თიელთან ერთად კი ფინალამდე მიაღწია, მაგრამ მეორე ადგილზე გავიდა. მადლიერების ნიშნად, თიელმა თავის პარტნიორს მანქანა აჩუქა.

ამ პროექტმა მზიას მომავალი მეუღლე გააცნო. მან უკრაინელ ქორეოგრაფზე საშა ოხრიმენკოზე იქორწინა, თუმცა მათი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა და წყვილი ერთმანეთს დაშორდა.

ოჯახის მეორედ დანგრევას მოცეკვავე დეპრესიაში არ ჩაუგდია, მან ძალიან მალე ახალი მეწყვილე იპოვა და გამალებული შეუდგა ვარჯიშს საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალებისთვის.

ამჯერად მზია ორველაშვილმა თბილისის თასის ტურნირში მიიღო მონაწილეობა და თავის მეწყვილესთან ერთად პირველი ადგილის მფლობელიც გახდა.

მეორე ადგილზე სალომე ჭაჭუა და მისი მეწყვილე გავიდნენ, მესამე ადგილზე კი ჯულიანა ბარგნარი და მისი მეწყვილე.

დაჯილდოების ამსახველი ფოტოები მზია ორველაშვილმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, რასაც უამრავი მოწონება და მილოცვა მოყვა.

ანსამბლი „ჩხოროწყუ“ ნიჭიერის ფინალისტია

სახალხო პროექტი „ნიჭიერი“ ნელ-ნელა ფინალს უახლოვდება. კულმინაციამდე მხოლოდ ორი ნახევარფინალი გვაშორებს. მანამდე კი „ნიჭიერმა“ მესამე ნახევარფინალი გამართა და 8 მონაწილიდან ხალხის რჩეული დაასახელა. ჟიურის შემადგენლობა ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა და ლევან წულაძემ კვლავ დაიკავა კუთვნილი ადგილი.

რიგით მესამე ნახევარფინალში მონაწილეობდნენ მოცეკვავეთა ანსამბლი „ეიჩ იუ ეი ქრიუ“, გია მამაცაშვილი, ჯაბა ვაშაძე, კელვინ კალვუსი, აკრო ფაიარი, დავით ჭოხონელიძე, ექსტრემალი ინდოელი აკრობატები და ფოლკლორული ანსამბლი „ჩხოროწყუ“.

პირდაპირი ეთერის დასრულების შემდეგ, წამყვანების ინფორმაციით, სულ შევიდა მაყურებლის 15.473 ხმა. 35,9 პროცენტით ხალხმა ფინალისტად დაასახელა ანსამბლი „ჩხოროწყუ“, ჟიურის გადაწყვეტილებით ფინალში გადავიდნენ ინდოელი ექსტრემალი აკრობატები, ზედაზენის რჩეული კი გახდა ჯაბა ვაშაძე.

მესამე ნახევარფინალის კიდევ ერთი მონაწილე, მძლეოსანი დავით ჭოხონელიძე 5 ათასი ლარით დაჯილდოვდა 1000 ტონიანი გემის გაწევისათვის.

მომავალ ორშაბათს მაყურებელი მეოთხე ნახევარფინალს იხილავს და კიდევ ორი ფინალისტის ვინაობას გაიგებს, ერთს მაყურებელი აირჩევს, მეორეს კი ჟიური დაასახელებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი, 23 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩანტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "ფოტო" **14.05** მხ/ფ "**კონკორდი 79**" (ა.დელონი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** მხ/ფ "**კიდევ ერთი წელი**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.50** მხ/ფ "**სასიკვდილო რბოლა-2**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**და ეი ისიც**" (დ. კიტონი) **02.25** მხ/ფ "**რა იქნებოდა**" (პ.ნიკოლსი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** დ/ფ "წინანდლის სასახლე" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ისტორიის გაკვეთილი **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "დუმფარა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დ/ფ "ველური ბუნება-გრძელცხვირა მაიმუნის საიდუმლო სამყარო" **16.20** კონცერტი **17.00** დ/ფ "წმინდა სერაფიმე საროველის სავანეში" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.30** დ/ფ "ვარდისფერი კაცი" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.30** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი საღამო" **15.30** "მონიტორი" **16.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **17.05, 2.15** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** სერ. "**მუნოსავი-2**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. თანდაყოლილი, წერტილოვანი ლაქა სხეულის კანზე; 2. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 3. ეკლესია-მონასტრებისთვის შემომწირველთა სარეგისტრაციო დავთარი; 4. ფულის ერთეული ინდოეთში; 5. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 6. პირველი კოსმონავტი; 8. ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. ყოველივე უცხოურის სიყვარული; 11. ძველი გერმანული ტომი, რომელიც არბევდა ევროპის ქვეყნებს; 14. ნარკოტიკების წვრილმანი გამსაღებელი აშშ-ში; 15. ტროპიკული ხილი; 16. რომაელი პოეტი, „ღვთაებრივი კომედია“-ს ავტორი.

თარაზულად: 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 4. გორგოლაჭებიანი კონვეირი; 7. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 9. თეთრყურზნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. მძრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 17. ირანის პრეზიდენტი; 18. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 19. საკუთარი საქციელის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; 20. წვრილი ოქროს ჯაჭვი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



სამგლოვიარო განცხადებები

თიესა ღესელიძე, მიხეილ და გიორგი ხანთაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ შესანიშნავი პიროვნების, სამედიცინო საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლის, კეთილშობილებით სავსე, მოყვასის მოყვარული, გულისხმიერი ქალბატონის

მერი ხანთაძე-აბესაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის დიდ ოჯახს.

ასოციაცია „მესხეთი 2001“-ის კოლექტივი მისი ხელმძღვანელის, ამირან მექვაბიშვილის სახით, ღრმა მწუხარებით იუწყება ასოციაციის გამგეობის წევრის, ღვაწლმოსილი ექიმის

ალინა კვირკველიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 დეკემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3983	ევრო — 2.6055
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5708	100 რუსული რუბლი — 3.3727

ამინდის პროგნოზი 23 დეკემბრისთვის

კალეიდოსკოპი

ოფიციანტმა პოლიციას ნაპოვნი 32 ათასი დოლარი ჩააბარა

კალიფორნიის ქალაქ ფრესნოში ოფიციანტმა ნახა ხელჩანთა, რომელიც სტუმრებს კაფეში დარჩათ და რომელშიც 32 ათასი დოლარი იდო. მან ნაპოვნი ადგილობრივ პოლიციას ჩააბარა.

ერიკა გონსალესი და დედამისი ბერტა მსხვილი თანხის ბანკში შეტანას გეგმავდნენ, მაგრამ იქ სეიფი არ აღმოაჩნდათ და ამიტომ იძულებული იყვნენ, ფული თან წამოეღოთ. ისინი რესტორანში სასადილოდ შევიდნენ და ჩანთა, რომელშიც ფული იდო, თან შეიტანეს. ქალებმა მხოლოდ საღამოს გააცნობიერეს, რომ ფულით სავსე ხელჩანთა დაკარგეს.

ქალებმა დანაკარგის თაობაზე პოლიციაში განაცხადეს. მალე პოლიციაში კაფედან დარეკეს და აცნობეს, რომ ფულით სავსე ხელჩანთა ერთ-ერთმა ოფიციანტმა იპოვა.

აღსანიშნავია, რომ რესტორნის თანამშრომელმა საკუთარი ვინაობის გამხელაზე უარი განაცხადა, ისევე, როგორც ჯილდოს მიღებაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალების მიერ კაფეში დარჩენილი თანხა, ოფიციანტის წლიური შემოსავლის ტოლფასია.

ბრიტანელები ყველაზე ხშირად 26 სექტემბერს იბადებიან

გაერთიანებული სამეფოს მცხოვრებლები ყველაზე ხშირად 26 სექტემბერს იბადებიან. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ეროვნული სტატისტიკის სამმართველოს ბოლო 20 წლის მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც ექსპერტებმა გამოარკვიეს, ბრიტანეთში ბავშვები ყველაზე ხშირად სექტემბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში იბადებიან. 26 სექტემბერს საშუალოდ 1974 ბავშვი იბადება. სპეციალისტებმა სხვა ქვეყნების მონაცემებიც შეისწავლეს, მათ შორის ახალი ზელანდიის და აშშ-ს და აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყნებშიც შობადობის ბუმი სწორედ სექტემბერზე მოდის.

ასევე გაირკვა, რომ ყველაზე იშვიათად ბავშვები 26 დეკემბერს იბადებიან (ამ დღეს საშუალოდ 1359 ბავშვი იბადება).

ბოისკაუტმა დათვის თავდასხმა ჩაქუჩით მოიგერია

აშშ-ში ბოისკაუტების ჯგუფის ხელმძღვანელმა კრისტოფერ პეტრონინომ გეოლოგიური ჩაქუჩით მოიგერია დათვი, რომელმაც ის გამოქვაბულში შეათრია. ეს ინფორმაცია ნიუ-ჯერსის გარმოს დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელ ბობი კონსიდანზე დაყრდნობით ადგილობრივმა მას მედიამ გაავრცელა.

ინციდენტი ნიუ-ჯერსის შტატის ნაკრძალ სპლიტროკის მთებში მოხდა. ნაკრძალის დათვალიერებაში, 50 წლის ხელმძღვანელის გარდა, კიდევ სამი ახალგაზრდა სკაუტი მონაწილეობდა.

პეტრონინომ გადაწყვიტა ახალგაზრდებისთვის ეჩვენებინა გამოქვაბული, რომელიც მან პირველად 1980 წელს ნახა. ამ დროს გამოქვაბულიდან დათვი გამოვარდა, კრისტოფერს ფეხში სტაცა პირი და შიგნით შეათრია. გამოცდილი მამაკაცი არ დაბნეულა და მტაცებელს თავში გეოლოგიური ჩაქუჩი დაუშინა, რის შემდეგაც იგი გამოქვაბულის შესასვლელთან არსებულ ნაპრალში დაიმალა და იქ საათნახევარი დაჰყო.

ახალგაზრდა სკაუტებმა ბუნაგიდან დათვის გამოსატყუებლად ხელმძღვანელის მითითებით საჭმელი დაალაგეს. შემდეგ მათ მობილურით მაშველები გამოიძახეს. საბოლოოდ დათვი დასახმარებლად მოსულმა ძაღლმა შეაშინა, გამოქვაბულიდან გამოვარდა და უცნობი მიმართულებით გაუჩინარდა. პეტრონინო, რომელსაც დათვის ნაკბენი ჰქონდა ფეხისა და მხარის მიდამოში, საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ქართულ ფილმში“ ისევ დაპირისპირებაა

ეკა ირემაშვილი

მას შემდეგ, რაც კინორეჟისორმა გიორგი შენგელაიამ სოსო ჯაჭვლიანი და ირაკლი ტრიპოლსკი ქართული ფილმის ხელში ჩაგდების მცდელობაში დაადანაშაულა, სააქციო საზოგადოებასთან დაკავშირებით ახალი სკანდალი აგორდა.

სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის თანამშრომლების“ დირექტორმა თამაზ ორაშვილმა ოფიციალური წერილით თხოვნით

მიმართა სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დირექტორთა საბჭოს, რომ რიგით მესამე აქციონერთა საერთო კრების ჩასატარებლად მათთვის დარბაზი დაეთმო.

თამაზ ორაშვილის თხოვნას „ქართული ფილმი“ ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა:

– სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის თანამშრომლების“ ამჟამინდელმა დირექტორმა თამაზ ორაშვილმა მოითხოვა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შენობაში კრების ჩასატარებლად ფართის გამოყოფა, ინვენტარით აღჭურვა და მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გაღება.

„ქართული ფილმის“ დირექტორთა საბჭომ მისი ეს ამბიციური ტონით დაწერილი თხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ თანამშრომლებს“ არაფერი საერთო არა აქვს სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმთან“.

ეს არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელსაც არ გააჩნია ოფისი „ქართული ფილმის“ ტერიტორიაზე. ასევე „ქართულ ფილმს“ არ აქვს უფლება უსასყიდლოდ დაუთმოს სივრცე სრულიად უცხო ორგანიზაციას და უზრუნველყოს იგი მის მიერ მოთხოვნილი ინვენტარით და შესაბამისი ხარჯებით.

„ქართულ ფილმს“ აგრეთვე არ გააჩნია სააქტო ან საკონფერენციო დარბაზი, რაც კარგად არის ცნობილი თამაზ ორაშვილისთვის.

აქციონერებს აქვთ სერიოზული ეჭვი იმისა, რომ თამაზ ორაშვილმა არამიზნობრივად დახარჯა მათი კუთვნილი თანხები და შესაძლებელია მიითვისა კიდეც.

როგორც თამაზ ორაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, საკითხი მეტად სერიოზული და პრობლემატურია:

– „ქართული ფილმის“ ისტორია საკმაოდ გრძელი და ჩახლართულია. სამი წელია ვიბრძვი, რომ ქართული ფილმის თანამშრომლებისთვის წართმეული ქონება დაბრუნდეს. სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ თანამშრომლები უზარმაზარი ქონების მფლობელები ვიყავით, 100-პროცენტიანი წილის მფლობელები. დროთა განმავლობაში ჩვენი წილის ჯერ ერთი მესამედი მივეცით სახელმწიფოს, შემდეგ კიდევ ერთი მესამედი. დარჩენილი ერთი მესამედი კი წინა ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა თაღლითური გზით გაგვიყიდეს. 5 მილიონიანი ქონება გაიტანეს აუქციონზე და მეორე ცდაზე 321.000-ად გაყიდეს.

ჩვენ ახალ ხელისუფლებასთან დავიწყეთ საუბარი, 4 თვე ეკონომიკის სამინისტროსთან ვიმუშავეთ, 20 შეხვედრა მქონდა ეკონომიკის მინისტრთან, 2-ჯერ პრემიერ-მინისტრსაც შევხვდი, შედგა სახელმწიფო კომისია მინისტრების შემადგენლობით, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო.

ანჩელოტი რეალს ლევანდოვსკის არ აძლევს, მოურინიო – საკუთარ თავს

ესპანური მედიის ცნობით, ფლორენტინო პერესი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს მეგატრანსფერს გაჩარხავს.

კლუბის პრეზიდენტს ბლანკოსის გაძლიერება სურს. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ახალი შენაძენი მაღალი კლასის ფორვარდი იქნება, მაგრამ ჯერჯერობით ვერ აზუსტებენ, რომელ კანდიდატურაზეა საუბარი.

წინასწარი ინფორმაციით, მადრიდული მაისურის მორგების ყველაზე დიდი შანსი კუნ აგუეროს, რობერტ ლევანდოვსკისა და ედენ აზარს აქვთ.

თუმცა, ლევანდოვსკის შესახებ თავისი აზრი აქვს ბაიერნის უკვე მომავალ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის. იტალიელი სპეციალისტის განცხადებით, არავითარ შემთხვევაში არ აპირებს ლევანდოვსკის გაშვებას, რომელიც მას დასჭირდება და, რეალის დიდი პატივისცემის მიუხედავად, პოლონელ ფეხბურთელს სამეფო კლუბს ვერ მიართმევს.

რეალი, სავარაუდოდ, მწვრთნელსაც შეიცვლის. გავრცელებული ინფორმაციით, რეალმა საშინაო მატჩები, შესაძლოა, ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატაროს.

დედაქალაქელი გულშემატკივრები რაფაელ ბენიტესს მუდმივად უსტვენენ და აპირებენ, რომ მასშტაბური ორგანიზება გაუკეთონ აქციას, რომელიც რაფაელის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

გულშემატკივრები მთავარ მწვრთნელს ბოიკოტს უცხადებენ და სანტიაგო ბერნაბეუზე მომდევნო მატჩები, შესაძლოა, ქომაგთა გარეშე გაიმართოს.

მადრიდისტები იმასაც აცნობიერებენ, რომ სრული ბოიკოტი ვერ მოხდება, ვინაიდან ესპანეთში უამრავი ტურისტი ჩადის, რომელიც რეალის თამაშებს ესწრება, თუმცა 70.000 და 10.000 მაყურებელს შორის დიდი სხვაობაა, აქედან გამომდინარე, პერესს კიდევ ერთი საფიქრალი გაუჩნდა.

გარდა იმისა, რომ ბლანკოსი ქომაგთა მხარდაჭერას ვეღარ მიიღებს, ეს დიდი დარტყმა იქნება როგორც ბენიტესის, ასევე კლუბის ბიუჯეტისთვის, სადაც თითოეული მატჩიდან საკმაოდ სოლიდური თანხა შედის.

აქედან გამომდინარე, ინგლისურ მედიაში გავრცელებული ხმები რეალში ჟოზე მოურინიოს გადაბირებაზე რეალობას მოკლებული არ უნდა იყოს. ინგლისურ გამოცემებზე დაყრდნობით, როგორც კი ჟოზე მოურინიო ჩელსიდან გათავისუფლდა, ფლორენტინო პერესისგან შეთავაზება მიიღო, მაგრამ პორტუგალიელმა სპეციალისტმა უარი განაცხადა.

რეალის პრეზიდენტი მზად იყო, რაფაელ ბენიტესისთვის ხელშეკრულება იმ დღესვე შეეწყვიტა და მოურინიოსთან ეთანამშრომლა, მაგრამ პორტუგალიელმა სპეციალისტმა ესპანეთში დაბრუნებას ინგლისში დარჩენა არჩია.

ისევ ბრიტანულ მედიაზე დაყრდნობით, მანჩესტერ იუნაიტედში ლუი ვან გაალის დღეები დათვლილია და მის პოსტს სწორედ ჟოზე ჩაიბარებს.

გეტყვით, რომ ჯერ კიდევ 2007 წელს მოურინიო ამბობდა, ადრე თუ გვიან, მანჩესტერს გავწვრთნიო.

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

იუმორი

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ჩვენზე რომ ამბობენ, ქალებს ფულები უყვართო, ტყუილია.

– ეგ როგორ?

– ფულები რომ გვიყვარდეს, განა ასეთი სისწრაფით დავხარჯავდით?!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, როდის გავსინჯავ ხიზილალას და დანარჩენ ზღვის დელიკატესებს?

– ალბათ მეორე ცხოვრებაში, როდესაც კატად დაიბადები...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გამიგია, კოსმოსში შავ ხვრელში ყველაფერი უჩინარდებაო. დედამიწაზე თუ არსებობს შავი ხვრელი?

– როგორ არა, ქალის ხელჩანთა, ნამდვილი შავი ხვრელია...

– ეგ როგორ?

– მასში ყველაფერი ეტევა და იქიდან კი უკან აღარაფერი ბრუნდება.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– მირჩიე როგორ მოვიქცე, ერთდროულად ორ მამაკაცს ვხვდები და არ ვიცი, მათგან რომელი ამოვარჩიო.

– გული რას გკარნახობს?

– გული მეუბნება: „ქმარმა თუ გაგიგო, მოგკლავს!“

●●●

მყიდველი თევზის გამყიდველს ეკითხება:

– ამ თევზის საბუთები გაქვთ?

– რა საბუთი გინდათ? გარდაცვალების?

●●●

ქალი თანასოფლელ ქალს ეკითხება:

– მარო, რძალი გამოგადგა?

– მგონი ავადმყოფი შემოგვაჩეჩეს.

– ???

– წუხელ მთელი ღამე მაგის კვნესა ისმოდა.

●●●

ცოლი ქმარს ტელეფონზე ურეკავს და ეუბნება:

– ძვირფასო, მალე მოდი, ცივა.

– უნდა ჩამეხუტო?

– არა, ჩაი მაქვს დასხმული და გაცივდება.

●●●

ორი ნაცნობი კამათობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, რომ ამოგიჩემებია, ამ ურმის თვალს მე გავაკეთებო, ნაყურები მაინც თუ გაქვს, როგორ კეთდება?

– მასე არც ბავშვების გაკეთებისთვის მიყურებია, მარა სამი ბავშვი მყავს გაკეთებული.

– ეეჰ, შენ რომ ბავშვები გააკეთე, მასეთ ურმის თვალს მეც კი გავაკეთებ!

●●●

განცხადება:

– ვეძებ ცხოვრების თანამგზავრს, გამოვირჩევი მძიმე ხასიათით და მსუბუქი ყოფაქცევით...

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეუბნება:

– ჩემმა ლამარამ საახალწლოდ სექსი მაჩუქა.

– როგორი არაორიგინალური გოგოა, ყველას ერთი და იგივეს საჩუქარს უკეთებს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა